პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

[illegible]

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

**25 ნოემბერი**
**პარასკევი**

1914. პეტროგრადში აღმოჩენილ იქმნა კონტრ-რევოლუციონური შეთქმულება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. კონტრ-რევოლუციონერთა ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა ტაქტიკურ ცენტრთან მოსკოვში და იუდენიჩის შტაბთან.

1917. დეკრეტი წოდებრივობის და სამოქალაქო ხარისხების გაუქმებაზე.

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, კრონშტადტის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა უქმეების დღისა 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

№ 220 პარასკევი, 25 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 25 ნოემბერი, 1921 წ. № 220

# „ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის"

**საკითხის კამპანიის გასატარებლად მაზრებში იგზავნებიან შემდეგი ამხანაგები:**

1) გორი, ბორჯომი და ხაშური . . . ამხ. თ. კალანდაძე.
2) ყვირილა, ახალსენაკი და ფოთი . ამხ. მ. ორახელაშვილი.
3) ოზურგეთი . . . . ამხ. ლ. დუმბაძე.
4) ლეჩხუმი . . . . ამხ. ხ. გელეჯკორი.
5) ჭიათურა . . . . ამხ. მუკანაძე.
6) რაჭის მაზრა . . . . ამხ. დ. ნახარიძე.
7) ზუგდიდი . . . . ამხ. გ. სტურუა.
8) ბათომი . . . . ამხ. შ. ელიავა.
9) თელავი, სიღნაღი და თიანეთი . ამხ. ლ. ამირაჯიბი.

ყველა მივლენილი ამხანაგები უნდა გაემგზავრონ დანიშნულ ადგილებში **შაბათს**. გამგზავრებამდე დილის 12 საათზე ყველა ეს ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ც. კ. აგიტპროპის განყოფილებაში დაწვრილებითი ინსტრუქციების, მივლინების ფულის და ლიტერატურის მისაღებათ.

# მუშათა კოოპერაციისათვის

დღეისთვის დანიშნულია საქართველოს მუშათა კოოპერატივების წარმომადგენელთა თათბირი. სულ რამოდენიმე თვეა რაც ჩვენი პროფკავშირების ინიციატორობით ჩაეყარა საფუძველი მუშათა კოოპერაციას და უკვე ამ მოკლე დროის განმავლობაში მან შესძლო გამოეჩინა თავისი აქტივობა, შემოეკრიბა თავის ირგვლივ მშრომელთა მასების მნიშვნელოვანი რიცხვი, რომელიც გასაოცარი სისწრაფით იზრდება და რამოდენიმეთ გამოიაშკარავებია უკვე დღეს ის როლი, რომლის შესასრულებლათ მოწოდებულია ის ახლო მომავალში.

შედარებით დაცარიელებული ბაზრის პირობებში, როდესაც საშინაო მეურნეობა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მის მრავალ მოთხოვნილებას, საგარეო ვაჭრობა შემთხვევითია, მასიური მომხმარებელი სპეკულიაციის ბრჭყალებშია მოქცეული, ხოლო ეგრედ წოდებული ნეიტრალური სამოქალაქო კოოპერაცია სპეკულიაციასთან ბრძოლის მაგივრათ თავისუფლათ მას ეგუება და თვით ებმება მის ფერხულში—მნიშვნელობა ძლიერი მუშათა კოოპერაციის ასეთ პირობებში განუზომელია საზოგადოების ეკონომიურათ ყველაზე უფრო დაბეჩავებული წრეებისათვის, მშრომელთა მასებისათვის. როგორც განმანაწილებელი, ის უნდა შეიქნეს რეგულიატორი აფორიაქებული ბაზრის ცხოვრების, მაგრამ ეს არის ერთი მხარე მისი საზოგადოებრივ ეკონომიური მუშაობის. ჩვენს პირობებში და განსაკუთრებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს, როდესაც წვრილი და საშუალო წარმოება სახელმწიფოს ეკონომიური ფუნქციის გარეშე რჩება, მეორე მხარე კოოპერაციის მოღვაწეობის, მისი საწარმოო მოქმედება ღებულობს მუშურ-გლეხურ რეჟიმისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ეჭვს გარეშეა რამდენადაც ის მოახერხებს ხელთ იგდოს და გაუძღვეს ამ წარმოებას, იმდენათ ის შესძლებს შეანელოს ექსცესები წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის და გაამაგროს საფუძვლები ახალი რეჟიმის. ამისთვის კი საჭიროა მუშათა კოოპერაცია შეიქნეს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი მთელი განმანაწილებელი მუშაობის და ამ გარკვეული მიზნებისთვის აამუშაოს აპარატიც ძველი კოოპერაციის, სამოქალაქოსი. საქართველოში ამ უკანასკნელს ხელმძღვანელობენ დღეს ის ელემენტები რომლებიც აშკარა მტრულათ არიან განწყობილი ახალ სახელმწიფოებრივობისადმი. ბუნებრივია, რომ ერთი უპირველეს ამოცანათაგანი მუშათა კოოპერატორების დღევანდელი თათბირის მდგომარეობს იმ საერთო გეგმის გამომუშავებაში, რომელმაც უნდა მიიყვანოს ახალგაზრდა მუშათა კოოპერაცია ძველის მიზანშეწონილად გამოყენებამდის და ეს არა მარტო პოლიტიკური, არამედ უფრო კიდევ ეკონომიური თვალსაზრისით. ყოველივე ამას მუშათა კოოპერაცია შესძლებს მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ის უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოსა და მისი ეკონომიური ორგანოების მხრით სათანადო დახმარებით. საჭიროა რომ ხუთი მილიარდი, რომელი თანხით დახმარება გადაწყვეტილი აქვს მთავრობას, შეძლებისდაგვარათ მალე იხილოს კოოპერაციამ და მით გააცხოველოს თავისი მიმდინარე ოპერაციები; საჭიროა მუშათა კოოპერაცია შეიქნეს ჩვენი სახელმწიფოებრივი ეკონომიური ორგანოების განმანაწილებელ აპარატათ, რამდენადაც კითხვა შეეხება განაწილების საქმეს და აგრეთვე მათ დავალებათა უმთავრეს ამსრულებლათ თუ დღეს, მუშათა კოოპერატიული აპარატის სისუსტის გამო ეს სავსებით შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში ასეთი უნდა იქნეს ტენდენცია მათი ურთიერთ შორის დამოკიდებულების. ამნაირათ თვით სახელმწიფომ, დაინტერესებულმა იმ როლით, რომელიც უნდა ითამაშოს მუშათა მოძრაობის ამ ფორმამ განსაკუთრებით საბჭოთა რეჟიმის დროს, ხელი უნდა შეუწყოს ენერგიულათ მის მოღონიერებას, მის განმტკიცებას და ამ მხრით ის დახმარება, რომელიც მიიღო ჩვენმა მუშათა კოოპერაციამ კერძოთ სასურსათო კომისარიატისაგან უნდა კიდევ უფრო გაფართოვდეს: ამ მაგალითს საჭიროა წაჰბაძონ სხვა ეკონომიურმა ორგანოებმაც.

მაგრამ ეს დახმარება „ზევიდან" არ კმარა. ყველა მუშათა ორგანიზაცია, იქნება ის პოლიტიკური, პროფესიონალური, კოოპერატიული თუ განმანათლებელი, სცოცხლობს, ვითარდება და თავის მოწოდებას ასრულებს იმდენად, რამდენათ მას მოღვაწეობაში ჩაბმულია თვით მასა, რამდენადაც იქ ამუშავდება მასიური ენერგია და თვით მოქმედება. და ამ მხრით უნდა ითქვას, რომ ჩვენი მუშათა კოოპერაცია იძლევს სრულიად დამაკმაყოფილებელ მაგალითს. საჭიროა უკვე შემჩნეული მასიური დაინტერესება კოოპერაციის საქმით, მოედოს მთელი რესპუბლიკის მუშებს, საჭიროა ის ენერგიული მუშაობა, რომლის მაგალითს იძლევა კერძოთ თფილისი, მაჩვენებელი და წამბაძველი შეიქნეს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში. მუშათა მასიური თვითმოქმედება—ამით უნდა გამძლავრდეს ჩვენი მუშათა კოოპერაციაც. შეგნება საკუთარი ეკონომიური და საბოლოო კლასობრივი ინტერესების თავდებია მუშათა კოოპერაციის განვითარებისა და ჩვენი მუშურ-გლეხური რეჟიმის განმტკიცების. თათბირი, რომელიც შეიკრიბება დღეს, იქნება ერთი დიდი გამარჯვება მუშათა კოოპერაციის ამ სავალ გზაზე.

# ახლობელი თუ შორეული კავშირი?

სამხედრო სტრატეგიის ერთ-ერთი ხერხია მანიოვრები, ძალთა გადაჯგუფება ვითომდა ახალ მნიშვნელოვან მიმართულებით. მოწინააღმდეგეს ყურადღება უნდა გაეფანტოს სულ სხვა მხრისკენ, მთავარ პოზიციას ჩამოაცილო და მით გადაარჩინო ეს პოზიცია.

პოლიტიკური ბრძოლის სტრატეგიაც მიმართავს ამ ხერხს; მორიგი გადასაწყვეტი საკითხი განზრახ იჩრდილება, მის ადგილს იკავებს სხვა, უფრო რადიკალურათ დასმული საკითხი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის საკითხი მომწიფებულია, ის მორიგ პრაქტიკულ საქმედ არის გამოცხადებული, მისი დადებითი გადაწყვეტა აუცილებელია.

მას ხედავს ამ ფედერაციის მოწინააღმდეგე და სტრატეგიულ ფანდებს მიმართავს: რა საჭიროა საქართველოს შეკავშირება აზერბეიჯან-სომხეთთან, როცა ჩვენ შეგვიძლია, ჩვენ ვალდებული ვართ პროლეტარული რევოლუციის კერას, საბჭოთა რუსეთს დაუკავშირდეთ პირდაპირ, უშუალოთ?—კითხვას იძლევა ასეთი მოწინააღმდეგე.

ზოგი საკითხის ასე დაყენებაში დაინახავს დიდ რადიკალობას, უმიჯნო მემარცხენეობას. მაგრამ დიდათ შემცდარი იქნება. ასეთი რადიკალობის საიდუმლოება გამომჟღავნებული იქნება, როცა ასეთ მემარცხენეობის წამოსასხამში ჩვენ ვიხილავთ გაზ. „ტრიბუნა"-ს პუბლიცისტებს. როცა ისინი მოითხოვენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის მაგიერ პირდაპირ რუსეთთან დაკავშირებას, რა თქმა უნდა მათ ალაპარაკებს ერთადერთი მოსაზრება—როგორმე შეუძლებელი გახდეს სწორედ ამიერ კავკასიის ფედერაცია, რომ ეს საკითხი მოიხსნას დღის წესრიგიდან, ის დაჩრდილულ იქნას უფრო დიდი საკითხით და ასე ჩაილურის წყალს გაჰყვეს.

საბჭოთა რუსეთს რომ გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი საბჭოთა რესპუბლიკა, ავტონომიური იქნება ის თუ დამოუკიდებელი, ან და საბჭოთა რესპუბლიკების დროებითი ან მუდმივი კავშირი, ეს ცხადზე უცხადესია. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია რომ თავის თავად გულისხმობს ფედერალური ძაფის თუ ჯაჭვის გაბმას საბჭოთა რუსეთთან—ამას მტკიცება არ ესაჭიროება.

მთავარი მორიგი საკითხია დღეს სწორეთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის ჩამოყალიბება ნათელ, განსაზღვრულ პოლიტიკურ ფორმებში. სასარგებლოა ასეთი შეკავშირება პოლიტიკურათ, სტრატეგიულათ, მშრომელთა რევოლუციის დაცვის მიზნით, საწარმოო ძალთა აღორძინების მოსაზრებით და სხ.—აი რა კითხვებს უნდა გასცეს პასუხი მან, ვინც ამ ფედერაციის მოწინააღმდეგეთ გამოდის. იმის თქმა კი, რომ საქართველოს გზა პირდაპირ მოსკოვისაკენ მიდის კავკასიონის ქედით, და რომ ბაქო-ერევანი გვერდზე უნდა დარჩეს, სამწუხაროთ უხეში და უშედეგო მანიოვრაა იმის მხრით, ვისაც აშკარათ ვერ უთქვამს, თუმცა გულის ფიცარზე აქვს დაწერილი, რომ საქართველოს მშრომელთ არავითარი საერთო არ უნდა ჰქონდეთ სომხეთის და აზერბეიჯანის მუშა-გლეხებთან, რომ მათ შორის უნდა დარჩეს განთვისების და განკერძოების კედლები და არ ამოივსოს ის ღრმა, სისხლით მორწყული ორმოები, რომელიც მენშევიკ-მუსავატ-დაშნაკელებმა სისხლით გასთხარეს.

ვერც ერთი მუშა, ვერც ერთი შეგნებული გლეხი და ვერც ერთი კომუნისტი ვერ დასვამს ასე საკითხს.

ამიერ კავკასიას ესაჭიროება მჭიდრო კავშირი, რათა მთლიანი სამეურნეო ტერიტორია გამოცოცხლდეს, აყვავდეს: რათა მთლიანი სამხედრო ფრონტი დახვდეს აქ მსოფლიო იმპერიალიზმს და მის ყოველ ლაქია-სოციალისტებს; რათა საბჭოთა ხელისუფლების ეს განაპირა სიმაგრე ძველ მამა-პაპურ ციხე კოშკს კი არ გავდეს, არამედ თანამედროვე პროლეტარულ დიქტატურის დასაცავათ გამზადებულ და მოწყობილ სიმაგრეს.

და ვინც გვირჩევს: დადარიბებულ, საკმაოთ აწეწილ და მოუწყობელ საქართველოს, აზერბეიჯანს და სომხეთს ცალ-ცალკე დაუკავშირდით საბჭოთა რუსეთსო, ის შეუგნებლათ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დასუსტებასთან ერთად საბჭოთა რუსეთის დასუსტებასაც ემსახურება.

სამი მძიმე ტვირთის აკიდების მაგიერ საბჭოთა რუსეთისათვის და მსოფლიო რევოლუციისათვის ხელსაყრელია ამიერ კავკასიის რესპუბლიკები იყვნენ გამაგრებული ერთი-ერთი მჭიდრო კავშირით, მოღონიერებულნი ეკონომიურათ, გამძლავრებულნი პოლიტიკურათ.

საბჭოთა რუსეთი კვლავ დამხმარე იქნება ამიერ კავკასიის რესპუბლიკებისა, მიუხედავათ იმისა თუ რა დამოკიდებულებას დაიჭერს ამიერ კავკ. ფედერაცია მასთან. მაგრამ უეჭველია რომ ამ ფედერატიულ შეკავშირებას თან მოჰყვება დაკავშირება რუსეთთანაც საბჭოთა ქვეყნების უზარმაზარი ფედერაცია ერთს მთლიან საომარ ბანაკათ გადაიქცევა, როგორც მთლიანია, და უნდა იყოს კიდეც, პროლეტარული რევოლუცია მსოფლიო იმპერიალიზმის დასამხობათ.

# პოლიტგანათლების ორგანოების ყრილობისათვის

დეკემბრის პირველისათვის დანიშნულია საქართველოს პოლიტგანათლების ორგანოების პირველი ყრილობა. ჩვენ ვიყრით თავს, რათა ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი შვიდი თვის გამოცდილება და გამოვიმუშაოთ 1922 წლისათვის ახალი სამოქმედო გეგმები, გამოვძებნოთ ახალი სავალი გზები. წასული თვეები საორგანიზაციო პერიოდი იყო, როგორც ცენტრისა აგრეთვე ადგილებისათვისაც. მხოლოთ უკანასკნელ ორ თვეში პოლიტგანათლების მთ. ორგანო გამოვიდა ამ პერიოდიდან და დაიწყო მუშაობა, როგორც პოლიტიკური და განმანათლებელი მუშაობის მეთოდიკოსმა და ხელმძღვანელმა.

უარესია ადგილობრივ პოლიტგანათლების მდგომარეობა. ცენტრთან კავშირის უქონლობა, გამოცდილ მუშაკთა სიცოტავე, პარტიასთან არა მჭიდრო კავშირი და, რაც უმთავრესი დაბრკოლებაა, ნივთიერათ სრული უსახსრობა—აი რა იყო ხელის შემშლელი, რომ ადგილობრივ პოლიტიკური და განმანათლებელი მუშაობისათვის ღრმა კვალი დაგვეჩნია.

არაა საქართველოში არც ერთი მაზრა სადაც მუშაობის საქმე დამაკმაყოფილებლად იყოს დაყენებული. ამას ობიექტიური მიზეზები აქვს, მაგრამ სიმართლე არ უნდა დავმალოთ და აშკარად და გულწრფელად უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი მდგომარეობა დანაშაულობაა.

ჩვენ წინაშე საპასუხისმგებლო მიზნებია: ხდება საბჭოთა საქართველოს შენება თავისებურ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში.

პოლიტგანათლებამ ამ მუშაობაში მხურვალე და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს. პოლიტგანათლების ორგანიზაციები პარტიისათვის საბჭოთა ორგანოების სისტემაში უშუალო აპარატია. თუ საქართველოს კომუნისტური პარტია ამას სათანადო ანგარიშს არ უწევდა, საჭიროა პოლიტგანათლების მუშაკთა პირველმა ყრილობამ მიაქციოს ყურადღება ამ საქმისადმი.

შევკრავთ რა რიგებს ჩვენ საკუთარ კარდინალურ საკითხებს ნათლად გადავწყვეტთ.

პოლიტგანათლება სახალხო განათლების ორგანიული ნაწილია, მაგრამ ის გარემოება მას არ უშლის ხელს პარტიასთან უშუალო კავშირში იყვეს.

პოლიტგანათლება სახალხო განათლების უწყებას დასამტკიცებლად უდგენს მუშაობის გეგმას განსაზღვრული დროის განმავლობაში, თუმცა უკანასკნელი პოლიტგანათლების მშრომელთა მიმდინარე მუშაობაში არ ერევა.

პარტია აძლევს პოლიტგანათლების მმართველობას დავალებას და მის შესრულებას თვალყურს ადევნებს. თვეში ერთხელ ყოველთვის პარტია მთავარ მმართველობის მუშაობის ანგარიშს იღებს. და ბოლოს პოლიტგანათლებაში, მთ. ორგანოში უნდა გაიგზავნოს ყველაზე პასუხისმგებელი პარტიული ძალები.

პოლიტგანათლებამ უნდა გააერთიანოს მოსახლეობის მოზარდ ნაწილში პოლიტიკური და განმანათლებელი მუშაობა, მან უნდა დაიჭიროს სწორი ურთიერთობა ახალგაზრდათა კომკავშირთა და პროფკავშირების კულტგანყოფილებებთან. პოლიტგანათლებას ეკუთვნის პასუხისმგებლობა არმიასა და მილიციაში მუშაობის საქმეში. დაბოლოს მან სამეურნეო ორგანოებთან კავშირი უნდა დაიჭიროს. თანაც დახმარების მაქსიმუმი უნდა აღმოუჩინოს სასურსათო კომისარიატს სასურსათო გადასახადის კამპანიაში, მიწათმოქმედების კომისარიატს აგრარულ პოლიტიკის გატარების საქმეში—ახალ კოოპერაციას პოლიტგანათლებასთან საერთო გზები აქვს და სხ.

პოლიტგანათლებას არ შეუძლია საერთო პარტიულ დავალებათაგან შორს იდგეს. როდესაც ამ წერილს ვსწერ, ყველაზე მწვავე საკითხი, რომელიც დღიურ წესრიგში სდგას, არის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანება. სხვა რომელ დაწესებულებას, გარდა პოლიტგანათლებისა, შეუძლია პარტიისაგან მიიღოს დავალება, რათა მშრომელთ აეხსნას თუ რატომაა საჭირო ძმურ რესპუბლიკათა გაერთიანება?

პირველი ყრილობა ყველა ამ საკითხს უნდა შეეხოს: სამხატვრო, საკლუბო და სამკითხველოების საქმისთვის მან უნდა გამოიმუშაოს გეგმა; უნდა შეეხოს წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, სამუზეუმო და საექსკურსიო საქმეს და სკოლის გარეშე მუშაობის ყველა მხარეს.

ყრილობამ უნდა გამოიმუშაოს მოღვაწეობის მთლიანი გეგმა და ჩვენი დაწესებულებათა მთლიანი სისტემა და აგრეთვე უნდა გადასწყვიტოს პოლიტიკურ-განმანათლებელ დაწესებულებათვის ფულის მიცემის წესი, ნაჩვენები უნდა იქნას, რომელ მუშაობისათვის სახელმწიფო სალაროდან უნდა მიეცეს ჯილდო და რა გვარი ხარჯები უნდა იკისროს მოსახლეობამ.

ოქტომბერში სრულიად რუსეთის პოლიტგანათლების ყრილობა მოხდა. ეს ჩვენს ყრილობას მუშაობას გაუადვილებს. ჩვენ გადავსწყვეტთ, განსაკუთრებით ძვირფასი მასალა გამოვცეთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საბჭოთა რუსეთში პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობას ოთხი წლის გამოცდილება და ჩვენი ხანმოკლე მუშაობა ხელში მძლავრ იარაღს მოგვცემს. ჩვენ დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ პოლიტგანათლების მუშაკთა პირველი ყრილობამ მასზე დამყარებული იმედი გაამართლოს და 22 წელი საორგანიზაციო და მიზანშეწონილ მუშაობის დროშის ქვეშ ჩაატაროს.

გ. ხაჭაპურიძე.

# ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია

**(პრესის მიმოხილვა).**

ა. კ. პ. ცენტრალური ორგანო „კომუნისტი" ფედერაციის საკითხის შესახებ სწერს შემდეგს:

„რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს დადგენილება ამიერ კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკურ და სამეურნეო გაერთიანებისა და საკავშირო საბჭოს დაარსების შესახებ, სრულიად ამიერ-კავკასიის ყრილობის მოწვევამდე და ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის არჩევამდე, ქმნის ახალ ხანას ამიერ-კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში".

შემდეგ გაზეთი აფასებს იმ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდა ამიერ-კავკასიაში მეფის მთავრობა და შემდეგ „დამოუკიდებელი" მუსავატური, დაშნაკური და მენშევიკური მთავრობები, რომლებიც აღვივებდნენ ნაციონალურ შუღლს, თიშავდნენ მხარის მთლიან სამეურნეო ორგანიზმს და რომლების პოლიტიკამ მიიყვანა მთელი ამიერ კავკასია დაქცევა—გაპარტახებამდე.

მხოლოდ ამიტომ ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების დაუყოვნებელი გაერთიანება საზღვარს დაუდებს ყველაფერ იმას, რაც შედეგად მოჰყვა წინა მთავრობების ბატონობას.

გაზეთი ამტკიცებს, რომ:

„ამიერ კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიური გაერთიანება დააჩქარებს დაახლოვების პროცესს, წყლულ ნაშთების ლიკვიდაციას და ნამდვილ ნაციონალურ მშვიდობიანობის დამყარებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა შორის. და მთელი რიგი ტერიტორიალურ საკითხებისა, რომლების გადაჭრაც გაძნელებული იყო ზოგიერთ შეუფარდებლობის გამო სამეურნეო და კულტურულ მისწრაფებათა შორის ამა თუ იმ რესპუბლიკისადმი, ეხლა წყდება ადვილათ. მეორე მხრით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური გაერთიანება ახდენს დიდ ფსიქოლოგიურ გარდატეხას შეუგნებელ მასებში".

შემდეგ გაზეთი ჩერდება გაერთიანების მნიშვნელობაზე მთელი მხარისათვის სამეურნეო-ეკონომიურ ცხოვრების განახლების სფეროში:

ეკონომიური გაერთიანება დიდი სტიმული იქნება დანგრეულ მეურნეობის აღდგენათ და მხარის საწარმოო ძალების განსავითარებლათ. ამიერ-კავკასია ეკონომიურათ წარმოადგენს მთლიან ერთეულს და არც ერთ მის ნაწილს არ შეუძლია დამოუკიდებელი, განსაკუთრებული მეურნეობით ცხოვრება. მატერიალურ რესურსების სწორი და ნამდვილი აღრიცხვა, მნიშვნელობის, სარგებლობის და საჭიროების თვალსაზრისით მათი მიზან შეწონილი განაწილება სათანადო სამეურნეო ერთეულებს შორის, ხელს შეუწყობს პირველ რიგში სწრაფ აღდგენას და გაჯანსაღებას ისეთ დამკრავ დარგებისას, როგორიც არის სასოფლო მეურნეობა, ტრანსპორტი და სხვ.

„საფინანსო პოლიტიკის დარგში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები გადადგამენ დიდ ნაბიჯს საერთო ფულის ნიშნების გამოცემის დასაჩქარებლათ, მტკიცე სახელმწიფოებრივ ბიუჯეტების დასამყარებლათ და ერთნაირ გადასახადების პოლიტიკის გასატარებლად, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჩვენი ქაღალდის ფულის გაჯანსაღებას და კურსის აწევას".

გაზ. „ბაქოს მუშა"-ც დიდ ყურადღებას აქცევს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას.

გაზეთი სწერს, რომ

„თითოეულ რესპუბლიკის გამოყოფილ, განცალკევებულ არსებობის დროს, ძალა უნებურათ ღრმავდება მიუკარებლობის, ერთმანეთისგან დაშორების შეგნება, ღვივდება ნაციონალური ეგოიზმის გრძნობა, იქმნება ხოლო ერთი რესპუბლიკის მეორისადმი ხელოვნური ინტერესთა დაპირდაპირება და სხვ.

„თითეული რესპუბლიკა აწარმოებს საკუთარ ეკონომიურ და ფინანსიურ პოლიტიკას, საზღვრავს მას საკუთარი პირობებით და შედეგათ, იმის მაგივრათ რომ დაეყრდნოს მთელი ამიერ-კავკასიის საწარმოო ბაზას, რომელიც საშვალებას იძლევა მაქსიმალურათ განავითაროს თითეულ რესპუბლიკის საწარმოო ძალები, იკეტება თავის სახელმწიფოს ვიწრო ფარგლებში. მთლიანი და მდიდარი სამეურნეო ერთეულის მაგივრათ ხელში გვრჩება მთელი რიგი ღარიბი რესპუბლიკებისა, რომლებიც შესაძლებელია განვითარდნენ მხოლოდ ერთი მეორის შეწევნით".

აქედან გაზეთი აკეთებს დასკვნას, რომ სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის მთელ მხარეში აუცილებელია ყველა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი.

რადგანაც

„მხოლოდ მაშინ მოღონიერდებიან ამიერ კავკასიის რესპუბლიკები, განავითარებენ თავის საწარმოო ძალებს, გამოვლენ შეერთებული საერთაშორისო კაპიტალიზმის წინააღმდეგ და საბოლოოდ მოიშორებენ ნაციონალურ იმ ცრუ აზრებს, რომლებიც აღმოჩნდნენ უფრო ცხოველნი, ვიდრე ჩვენ ეს გვეგონა".

ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია აუცილებლათ გაამტკიცებს საბჭოთა წესწყობილებას მთელ ამიერ კავკასიაში და ხელს შეუწყობს ამ გაძარცვულ და დანგრეულ მხარის აყვავებას.

# საბჭოთა რუსეთის პრესა

**ნდობის გამოცხადება**

ამას წინათ გერმანიის სატახტო ქალაქში მოხდა არჩევნები და ეხლა სრულდება არჩევნები საბჭოთა რუსეთის ჩრდილოეთის სატახტო ქალაქში. როგორი კონტრასტია ამ არჩევნების პირობებს შორის და რა უდიდესი განსხვავებაა მათ შედეგებში! გერმანიის სატახტო ქალაქს არჩევნები იქამდი მივიდა, რომ პროლეტარიატის ეს სიმაგრე, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში დამსახურებულად ატარებდა „წითელი ბერლინის" ამაყ სახელს, აღარ არის წითელი, ის გამოგლეჯილია მუშების ხელებიდან და დაპყრობილი ბურჟუაზიულ პარტიათა კოალიციის მიერ. წინააღმდეგ, „წითელმა პეტროგრადმა" დაიცვა თავის რეპუტაცია: მუშათა კლასის ყველაზე უფრო მოწინავე და რევოლუციონური პარტიის წარმომადგენლობა—რუსეთის კომუნისტური პარტია, გამოვიდა ახალ საარჩევნო კამპანიიდან შესამჩნევათ გაძლიერებული; უპარტიოთა ჯგუფი გაწმენდილია მისი შემარცხვენელი სოციალ-გამყიდველთა ელემენტებისაგან, რომლებიც უპარტიოების სახით ფარავდა თავის თეთრ გვარდიულ არსებას; და ბოლოს, გულახდილი სოციალ-გამყიდველები სრულ არარაობად გადაიქცნენ და აქამდი გაიყვანეს, მგონი, ერთი დელეგატი ათასზე მეტ კაცთან.

აქამდი, რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოს ცნობებით, გამორკვეულია არჩევნების შემდეგი შედეგები: სულ 31 ნოემბრამდი პეტროგრადის საბჭოში არჩეულია 1215 წევრი, აქედან კომუნისტებია 989, უპარტიოები 231, ესერი—1, მენშევიკები—ნოლი (სიმბოლო მათი პარტიისათვის!). კამპანიის შემდეგი მსვლელობა სერიოზულად უკვე ვერ გამოცვლის მიღებულ შედეგებს.

ცხადია, რომ კომუნისტების წარმომადგენლობა ეხლა უფრო ძლიერია, ვიდრე უწინ, და კონტრ რევოლუციონერების დამარცხება უფრო ღრმაა, ვიდრე ოდესმე. და სხვათა შორის თითქო ჩანდა, რომ ნიადაგი კონტრ რევოლუციონური აგიტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციისათვის იყო ნოყიერი როგორც ელოდნენ.

დიდი ხანი არ არის კიდევ მას შემდეგ რაც წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის გამართული ჰქონდა თავისი ველური ქეიფი პეტროგრადის კარებთან. ამ წლის გაზაფხულში მოხდა კრონშტადის საშარცხვინო აჯანყება. სოციალ-გამყიდველები ირწმუნებოდნენ კიდევაც, რომ პეტერბურგის მუშათა მასები თანაუგრძნობენ კრონშტადელებს და რომ მათ აკავებს მხოლოდ „ბოლშევიკური ტერორის“ თვითნებობა. მაგრამ ეხლა ამ მასამ, რომელზედაც თეთრ-გვარდიელები ამყარებდენ იმედებს, თავის ხმის მიცემით გამოააშკარავა მთელი ქვეყნის წინაშე მათი კონტრ-რევოლიუციონური ოცნებების სილატაკე და დაგმო უსინდისო ცილის წამებლები, რომლებიც ცდილობდენ ჩირქი მოეცხოთ პეტერბურგის პროლეტარიატის მხნეობისათვის უკვე მარტო იმ ერთი ფაქტით, რომ ისინი მაზე ამყარებდენ თავის „იმედებს“.

შემდეგ, კონტრ-რევოლიუციონერები ფიქრობდენ გამოეყენებიათ თავის მიზნებისათვის გარდამავალი ხანა, რომელიც შეიქმნა ახალი ეკონომიური პოლიტიკის დაწყების გამო, მასთან დაკავშირებული გაუგებრობანი და ზოგიერთ ჯგუფების ინტერესების დროებითი დარღვევა, ფსიხოლოგიური გარდატეხა მასებში, ხანდისხან მათ შორის აჩენილი გაუგებრობა და სხვ. მაგრამ ტყუილად ცდილობდენ სოციალ-გამცემლები ბოლშევიკების „შეცდომებზე“, ტყუილად ცდილობდენ ისინი დაეჯერებინათ გაუგებელი ხალხი იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლების ახალი ეკონომიური პოლიტიკა წარმოადგენს თითქოს პლაგიატს მენშევიკებისაგან, ტყუილად ცდილობდენ ისინი დაეთესათ მასებში უნდობლობა, თითქოს ბოლშევიკებს არ შეეძლოთ ნორმალური სამეურნეო ცხოვრების დაწყება, — პეტერბურგის პროლეტარიატმა უარჰყო ყველა ეს ისტერიული ცილები და საშუალება არ მისცა სოციალ-გამყიდველებს გამოეყენებიათ სადემაგოგიოდ სოციალისტური აღმშენებლობის დროებითი ეკონომიური დაბრკოლებანი.

და ბოლოს, კონტრ რევოლიუციას იმედი ჰქონდა გამოეყენებია მმართველ პარტიის წინააღმდეგ რუსეთის მოუსავლიობა და ვოლგის ნაპირების საშინელი შიმშილი.

აქ უკვე შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ისინი მოახერხებდენ დამშეულთა ზურგზე შეექმნათ პატარა პოლიტიკური კაპიტალი, მაგრამ აქაც არ გაუმართლდათ.

არა თუ წითელ პეტერბურგის მუშები, არამედ ინტელიგენციამაც კი, რომელიც აქამდი წარმოადგენდა სიმაგრეს და მასაზრდოებელ ნიადაგს საბჭოთა ხელისუფლების მტრებისათვის, არ გაუმართლა მათ იმედები და მისი დიდი ნაწილი ხმას აძლევდა ან პირდაპირ კომუნისტებს და ან ისეთ უპარტიოებს, რომლებსაც სურთ პროლეტარიატის ავანგარდთან ხელ-ხელ ჩაკიდებული აშენონ მუშა-გლეხების ახალი სახელმწიფო. ბრალმდებელნი თითონ დაჯდნენ ბრალდებულის სკამზე. პეტერბურგის მშრომელმა მასებმა გამოუცხადეს სრული ნდობა კომუნისტურ პარტიას და ამით ამდენადვე გამოუცხადეს სრული უნდობლობა მის მტრებს, თითონ ეუბნებოდნენ: „მიატოვეთ ყოველგვარი იმედები“!

რას ნიშნავს ეხლანდელ პირობებში წითელ პეტერბურგის პასუხი? უპირველესად—ცილისწამების გაბედული უარჰყოფა, თითქო შიმშილს, შეექმნას საბჭოთა ხელისუფლება. ამ ცილისწამებას ავრცელებენ არა მარტო მსოფლიო მტაცებლები, არა მარტო საზღვარ-გარეთ გაპარული მემამულე-კაპიტალისტები, არამედ ყველა ჯურის სოციალ-გამყიდველები, ეს-ერების ლიდერი ჩერნოვი და მენშევიკები—მარტოვი. პეტერბურგის პროლეტარიატმა მიახალა ცხვირპირში ცილის-მწამებლებს თავის ზიზღი და თავის ხმის მიცემით დაამტკიცა, რომ შიმშილის პასუხისმგებლობას ის აკისრებს კონტრ რევოლიუციას, რომელიც არ ასვენებს საბჭოთა რუსეთს და ხელს უშლის მოაწესრიგოს თავის მეურნეობა და, რომ წინააღმდეგ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას და მის მეთაურ კომუნისტურ პარტიას სთვლის ერთად-ერთ ძალად, რომელსაც შეუძლია სერიოზულად ებრძოლოს შიმშილს და შექმნას ისეთი პირობები, როდესაც ხალხური უბედურებანი აღარ განმეორდებიან. წითელ პეტერბურგის არჩევნები უნდა გავიგოთ, როგორც გამართლება იმ ზომებისა, რომლებიც ამორჩეულია და რამოდენიმედ უკვე გატარებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ შიმშილთან ბრძოლის წინააღმდეგ.

მეორე მხრივ პეტერბურგის ნდობა ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების ახალ ეკონომიურ პოლიტიკის დადასტურებას. პეტერბურგის მუშებმა თავის ხმის მიცემით აღიარეს, რომ, მათი აზრით, კომუნისტურმა პარტიამ არა თუ დაისახა გარკვეული გზა ეკონომიკის აღსადგენად, არამედ შეუძლია კიდევაც სისწორით გაატაროს ეს პოლიტიკა ცხოვრებაში და მოაწესრიგოს სახალხო მეურნეობა, განავითაროს მხარის საწარმოვო ძალები არა ბურჟუაზიის, არამედ მშრომელთა ინტერესების სასარგებლოთ. ეს დადასტურება ახალი ეკონომიური პოლიტიკის მით უფრო ძვირფასია, რომ პირველად ის დაისვა პეტერბურგის ფართო მუშათა მასსების სამსჯავროს წინაშე.

და ბოლოს, პეტერბურგის საბჭოში არჩევნების შედეგები ნიშნავს პროლეტარიატის მიერ ყოველგვარ ფორმაში და ნიღაბში დამალულ კონტრ-რევოლიუციისათვის საბოლოო ზურგის შექცევას.

თავის ხმის მიცემით წითელმა პეტერბურგმა ხელ-ახლა გააფრთხილა საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მტრები, რომლებიც უჯერებენ კონტრ რევოლიუციონურ ემიგრანტების ცრუ ამბებს და გამყიდველ პროვოკატორების უაზრო სენსაციებს. ეს გაფრთხილება არა მარტო რუსეთის თეთრ-გვარდიელებისათვის, არამედ საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციისათვისაც, რომელიც კიდევ იმედოვნებს საბჭოთა ხელი უფლების მალე დაცემაზე და ფიქრობს ახალ ინტერვენციის მოწყობას. წითელი პეტროგრადის ხმის მიცემამ ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ამ ბატონებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება დგას უფრო მტკიცედ, ვიდრე ოდესმე, რომ ის წარმოადგენს მშრომელთა მასხების ნამდვილ ძალა უფლებას, სახალხო ძალა-უფლებას, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით და რომ ამიტომ მისი აღმოფხვრა შეუძლებელია.

პეტერბურგის პროლეტარიატის ამგვარი პასუხი იმას ამოწმებს, რომ უმძიმეს პირობებშიაც კი რუსეთის მუშათა კლასის ავანგარდი ერთგული რჩება კომუნისტური იდეალების და ეს გარემოება მხედველობაში იქნება ყველგან მიღებული. ამას დაადასტურებს რუსეთის მუშები და გლეხები და აგრეთვე საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატი. ამას გაიგებენ ჩვენი მტრებიც—რუსეთის კონტრ-რევოლიუცია, რომელიც იფარება საბჭოთა ორგანოების ბნელ კუნჭულებში, ან საზღვარ-გარეთ არიან თავშეფარებული და აგრეთვე ის შეურიგებელი ავაზაკები მსოფლიო ბურჟუაზიიდან, რომლებსაც ბრაზი უბნელებს გონებას და რომლებსაც არ უნდათ უარი სთქვან საბჭოთა რუსეთზე აქტიურ შემოტევის პოლიტიკაზე. იმას მხედველობაში მიიღებენ საერთაშორისო ბაზარზე და ბურჟუაზიულ სახელმწიფოების საბჭოებშიც და ამ აზრით ის არის ბრწყინვალე დამტკიცება საბჭოთა მთავრობისა იმ ნოტების, რომლებიც აყენებს საერთაშორისო კაპიტალის წინაშე კითხვას საბჭოთა ხელისუფლების ცნობის შესახებ და ყოველგვარ ფორმაში საბჭოთა რესპუბლიკის ბლოკადის ნამდვილ შეწყვეტაზე.

„იზვ.“ ი. სტეკლოვი.

# ᲬᲘᲗᲔᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲨᲘ

## ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

### პეტერბურგის ნავთსადგურის გაფართოვება

**ბერლინი** 13 ნოემბერი. „რუსეთის ხმა“, რომელიც გამოდის ბერლინში, იტყობინება, რომ საზღვარ-გარეთელი კაპიტალისტები—უმთავრესად გერმანიის, ამერიკის და ინგლისისა, მოლაპარაკებას აწარმოებენ საბჭოთა მთავრობასთან კონცესიის მიღების შესახებ პეტროგრადის და ოდესის ნავთსადგურების ხელ ახლა ასაშენებლად და გასაფართოვებლად. გერმანული ფირმები რუსეთიდან იღებენ დიდ შეკვეთებს. ამასთან დაკავშირებით გაცხოველებულად მსჯელობენ მიმოსვლათა საშუალების შესახებ. ეწყობა „რუსეთ-გერმანიის სატრანსპორტო საზოგადოება“, რომელიც თავის თავზე იღებს გადმოიტანოს რუსეთში 700 ლოკომოტივი, 5 მილიონი ფუთი რკინის გზის რელსები და სხვა მანქანები. რუსეთის წარმომადგენლები გერმანიაში ამტკიცებენ, რომ გერმანულ კომერსანტების, რუსეთის ბაზრის დაახლოვებული პირადი გაცნობა ხელს შეუწყობს რუსეთ-გერმანიის დაახლოვებას. ეს მოხდება კიდევ მით უფრო, რომ გერმანიას სჭირდება რუსეთის ნედლი მასალა, განსაკუთრებით ნავთი, ტყავი და სხვ.

### პროლეტარული სესხი

**ბერლინი**, 23 ნოემბერი (რადიო). კომუნისტური წყაროების ცნობებით რუსეთის საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს მიმართოს წინადადებით ამერიკის და ევროპის მუშათა კავშირებს, რომ მათ მოაწყონ რუსეთისათვის 100 მილიონი დოლარი სესხი. საბჭოთა მთავრობა პირობას იძლევა რომ დაფარავს ამ ვალს სხვა მის სესხებზე უფრო ადრე.

# ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲔᲑᲨᲘ

## ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

### ანტი-ინგლისური პროპაგანდა.

**მოსკოვი**, 20 ნოემ. (რადიო გერმანულ ენაზე). (დასაწყისი არ არის მიღებული)... იმის მაგივრად, რომ დაემტკიცებიათ საბჭოთა რუსეთის ანტი-ინგლისური აგიტაცია, ლორდი კერზონი ჩვენ გვატყობინებს მოსკოვში 19 რევოლიუციონური ინდოელის მისვლას, თუმცა არ შეუძლია ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს დაამტკიცოს, რომ როტშტეინი თეირანში ან რუსეთის წარმომადგენელი ანკარაში ეხმარება ანტი-ინგლისურ პრესას, როდესაც მას ვერ მოუყავს ამის დამამტკიცებელი საბუთები. ლორდი კერზონი მოწმეებს ემყარება, მაგრამ მათ არ ასახელებს და ამტკიცებს, რომ რუსეთი ეხლაც ეწევა აგიტაციას აღმოსავლეთში, და აგზავნის იქ სხვადასხვა ენებზე. მაგრამ ეს ლიტერატურა არავის არ უნახავს აღმოსავლეთში, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ სპარსეთში და ავღანისტანში არ არის რკინის გზები, რომლებსაც აღნიშნავს კერზონი. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა აღმოსავლეთის საკითხში საბჭოთა მთავრობის და ინგლისის შორის, უთანხმოების მოსპობა კონფერენციის საშუალებით, რომელზედაც განიხილავდენ რუსეთ ინგლისის კონფლიქტს და ინტერესებს აღმოსავლეთში.

### ვაჭრობა რუსეთთან.

**ლონდონი**, ლოიდ ჯორჯმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მან და სხვა მინისტრებმა, რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებამდი თემთა პალატაში განვაცხადეთ, რომ დიდი იმედები არ უნდა დავამყაროთ ამ შეთანხმებასო. მართლაც, 1 იანვრიდან 31 აგვისტომდე რუსეთ-ინგლისის საერთო ტრიალი გამოიხატა 3,150,000 გირ. სტერლინგში. უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში ემჩნევა მორიგების რიცხვის ზრდა. დასასრულ მინისტრმა განაცხადა: „არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ რუსეთში შეიძლება ინგლისის და სხვა ქვეყნების საქონლის ფართო გასაღება. სანამ იქ მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, მე ვშიშობ, რომ უსაფუძვლო იქნება იმედები როგორც ბრიტანეთის ისე მის ქვეყნების ექსპორტიორებისათვის საბჭოთა რუსეთში.

## ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

### რკინის გზელი კომუნისტები.

**ნაუენი** 23 ნოემბერი (რადიო). საფრანგეთის სინდიკალურ წრეებში მოხდა განხეთქილება, რომელიც გამოწვეულია რკინის გზელების კომუნისტურ კავშირის მიერ. კავშირი დადგა მესამე ინტერნაციონალურ თვალსაზრისზე.

## ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

### პოლონური პოლიტიკა.

**მოსკოვი** 20 ნოემბერი (რადიო გერმანულ ენაზე). ვარშავის დეპეშებიდან სჩანს, რომ პოლონეთში შემდგარია მუშათა კომიტეტები რუსეთის დამშეულების დასახმარებლათ. შინაგან საქმეთა სამინისტრო ემყარება საზოგადოებების შესახებ არსებულ დროებით წესების მე 6 პარაგრაფს და უარს აცხადებს ამ კომიტეტების რეგისტრაციაზე. ამ ნაირად დახმარების კომიტეტების მოქმედება, პოლონეთის მთავრობის აზრით, ატარებს, მტრულ ხასიათს პოლონეთის სახელმწიფოს მიმართ. რაც ვერ გადასწყვიტა საფრანგეთის ბურჟუაზიამ, მის განხორციელება თავის თავზე აიღო პოლონეთის მთავრობამ. დამშეულების დახმარება დამოკიდებული პოლონეთის პოლიტიკაზე. ყოველგვარი პროტესტი პოლონეთის ამ სასტიკი რეაქციის წინააღმდეგ ზედმეტია. რას უნდა მოველოდე იმ მთავრობიდან, რომელიც ყოველ ნაირი პროვოკაციული საშუალებით ცდილობს ომის გამოწვევას დამშეულ ხალხის წინააღმდეგ.

## ᲘᲢᲐᲚᲘᲐ.

### სამრეწველო კრიზისი იტალიაში.

**პარიზი**. 12 ნოემბერი. სამრეწველო კრიზის ტურინში ძლიერდება. უმუშევართა რიცხვმა ამ ჟამად მიაღწია 70,000 კაცს. ავტომობილების საზოგადოებამ ფიატიმ მნიშვნელოვანით შეამცირა თავის წარმოება და დაითხოვა 5,000 მუშა. კრიზისი გამოწვეულია მოთხოვნის კატასტროფული დაცემის გამო.

## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ.

### ძარცვა გლეჯა ბერლინში.

**ნაუენი**, 23 ნოემბერი, (რადიო). გერმანიის და პრუსიის მთავრობებმა გადასწყვიტეს მოიშველიონ მათ ხელში არსებული ყოველ გვარი საშუალებები სურსათის ნიადაგზე მომხდარ უწესრიგობის და ძარცვა გლეჯის გამეორების წინააღმდეგ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ დღეების განმავლობაში ბერლინის სხვა და სხვა ადგილებში. გაზეთები ითხოვენ, რომ მთავრობამ მიიღოს გადამჭრელი ზომები სანოვაგის გაძვირების და სპეკულიაციის წინააღმდეგ.

## ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ.

### ინდოეთის ამბების გარშემო.

**მოსკოვი**. 24 ნოემბერი. (რადიო). პრინც უელსკის ქ. ბომბეიში შესვლის დროს მოხდა სერიოზული არეულობა. ქალაქის ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილებში ბევრია მოკლული და დაჭრილი. კალკუტაში ნაციონალისტებმა მოაწყვეს პროტესტის შეთქმულება პრინც უელსკის მოსვლის წინააღმდეგ. უელსკის ქალაქში მოსვლის მეორე დღეს არეულობა კიდევ უფრო ძლიერდება. პოლიცია იძულებული გახდა ხიშტებისათვის მიემართა და აგრეთვე დაეწყო სროლა აჯანყებულების ბრბოებს. 150 კაცია დაჭრილია, არიან მოკლულიც. 200 კაცი დატუსაღებულია.

## ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ

### ვალიუტის კრიზისი.

**სტამბოლი**. შესდგა სავაჭრო პალატის საწრაფო სხდომა, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო ბევრმა კომერსანტმა, და აგრეთვე საგარეო ვაჭრობის სამმართველოში მყოფმა საფრანგეთის დელეგატმა ლუიზხორნმა. საკითხის გრძელი მსჯელობის შემდეგ, პალატამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: 1) შეიზღუდოს სავალიუტო მორიგებანი სავაჭრო საქმეებისათვის; 2) დაიხუროს შუამავალ ვაჭრების კლუბი და აიკრძალოს ყოველგვარი სავალიუტო სპეკულიაცია კაფეებში, სასტუმროებში და სხვ. ადგილებში ბირჟის გარეშე; 3) იმის გამო, რომ ვალიუტის დაცემა შეუძლებელს ხდის ევროპაში შეკვეთების წარმოებას, მიექცეს ამაზე ევროპის სავაჭრო პალატების ყურადღება. ყველა ეს დადგენილებები წარედგინა საფინანსო და ვაჭრობის მინისტრს დასამტკიცებლათ.

# ᲐᲛᲮ. ᲢᲠᲝᲪᲙᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

### პოლიტგანათლების განყოფილებათა მეორე ყრილობაზე

თქვენ მოხსენება გაგიკეთათ ამხ. ლენინმა ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის და მეთოდების შესახებ ახალ ეპოქასთან დაკავშირებით. იმ საერთაშორისო ეპოქასთან, რომელსაც აქვს შინაგანი გამოხატულება ჩვენ განვითარებაში. იგივე პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სამეურნეო პოლიტიკის ღრმა გარდატეხას, იგულისხმება, სათანადოთ გავლენას ახდენენ აგრეთვე ჩვენ არმიაზე დაც.

რაში მდგომარეობს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის არსებითი მხარე? იმაში, რომ ჩვენ ოქტომბრის რევოლიუციის 4 წლის თავზე ჯერ კიდევ ვრჩებით კაპიტალისტურ სამეფოებით გარშემორტყმული. პროლეტარულ რევოლიუციამ ძლევამოსილი გამარჯვება უშუალოდ ვერ განავითარა. ბურჟუაზია მთელ მსოფლიოში კიდევ ფეხზე სდგას, მან კიდევ გადაიტანა ეხლად კრიტიკული ხანა—იმპერიალისტური ომის ლიკვიდაციისა და ჯარების დემობილიზაციისა. ეს ის ხანა იყო, როდესაც ბურჟუაზიას, როგორც გაბატონებულ კლასს, მეტად უჭირდა კვლავ წინააღმდეგობის გაწევა, როდესაც ომში და მის შედეგებში იმედ გაცრუებული მშრომელი მასები უდიდეს საშიშროებას წარმოადგენდნენ, როდესაც შესაძლებელი იყო მასიური, სტიქიური რევოლიუციონური შეტევა და როდესაც გაბატონებული კლასი პანიკით იყო შეპყრობილი. ამ პერიოდში შეგვეძლო გვეფიქრა და რამოდენიმედ საფუძვლიანადაც, რომ ამ სტიქიურ შეტევისაგან ბურჟუაზია დაეცემა და რომ მუშა-გლეხების არმია, რომელიც ჩვენ შევქმენით მუშათა კლასის ბატონობის უზრუნველსაყოფად, ნაციონალურ ფარგლებში დაასრულებს და ამოწურავს თავის ამოცანას.

მდგომარეობა სხვანაირი შეიქნა. ჩვენ ძველებურათ გარს შემორტყმული ვართ გაბატონებულ ბურჟუაზიის მიერ. მთელი ქონება და სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება მის ხელშია. მაშასადამე იმედი, რომ ომის შემდეგ მშრომელთა პირველივე სტიქიური შეტევა დაამხობს ბურჟუაზიას, არ გამართლდა. ბურჟუაზია კიდევ ფეხზე სდგას. ეს საერთაშორისო მდგომარეობაში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. რა ხდება ამ ჟამათ ჩვენ თვალწინ? მუშათა კლასის შემდეგი რევოლიუციონური ძალების დაგროვება. ეს უკვე აღარ არის ის სტიქიური ტალღა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918 წლის ბოლოში და 1919 წლის განმავლობაში, თუმცა მასიური სტიქიური მოძრაობა ეხლაც არსებობს. ეს უფრო სისტემატიური შეუპოვარი მუშაობაა ყოველ ქვეყანაში რევოლიუციონური პარტიის შესაქმნელად რევოლიუციონურ ენერგიის დასაგროვებლად და სისტემატიური მომზადებაა მუშათა კლასის მთელ ძალა უფლების დასაპყრობად. ეხლა, ამ ეპოქაში, რომელშიდაც ჩვენ შევდგით ფეხი, უკვე ფიქრიც არ შეიძლება იმაზე, რომ მუშათა კლასი მოულოდნელად დაეცემა ბურჟუაზიას და დაამხობს მას ერთი ძლიერი შეტევით.

ბურჟუაზია, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიური ნიადაგი მას ფეხებ ქვეშიდან ეცლება, მაინც პოლიტიკურად ისე დაიჭირა თავის თავი და სახელმწიფოებრივი აპარატი, რომ მომავალში ბრძოლა იქნება ხანგრძლივი, სისტემატიური, შეუდრეკელი და შეუბრალებელი. ეს ძირითადი დახასიათებაა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის. ერთი მხრივ ხდება მუშათა კლასის მიერ ძალების დაგროვება, მაგრამ, მეორე მხრით კაპიტალიზმის შერყეულ და ნელ-ნელა დაშლილ ეკონომიურ საძირკველზე ვხედავთ ბურჟუაზიის სამხედრო—პოლიტიკურ ძალების თავის მოყრას, ვხედავთ როგორ ამაგრებს თავის კლასს და მისგან აშენებულ სახელმწიფოს აპარატებს, როგორ ახერხებს წინააღმდეგობას და ემზადება კიდევ უფრო შეუპოვარი და დაუნდობელი წინააღმდეგობისათვის. ეს არის დამახასიათებელი მთელ საერთაშორისო მდგომარეობაში.

რა გამომდინარეობს აქიდან? აქიდან გამომდინარეობს მთელი რიგი დასკვნები. პირველი: 1919—1920 და 1921 წლებში გადარჩენილი ბურჟუაზია თავს აიმედებს, რომ ბოლშევიზმი არ წარმოადგენს ისეთ მომაკვდინებელ საფრთხეს, როგორც მას ეგონა 1918 და 1919 წლებში, როდესაც მას იმედი ჰქონდა პატარა საოკუპაციო რაზმებით ჩვენ დაემარცხებდა. ის ამბობს: ბოლშევიკებთან შეიძლება ურთიერთობის დამყარება, შეიძლება დაშლილ ეკონომიური საფუძვლების აღდგენის დაწყება, შეიძლება მათთან ეკონომიური კავშირის დაჭერა, რადგანაც ეს საშიშროება არც ისეთი დიდია და უშუალო.

მაშასადამე, რუსეთთან ეკონომიური კავშირის აღდგენა ბურჟუაზიისათვის ფსიქოლოგიურათ შესაძლებელი შეიქნა. მეორე მხრით, აქედანვე გამომდინარეობს, რომ ის ემზადება ხანგრძლივი ბრძოლისათვის პროლეტარულ რევოლიუციის დასამხობათ. ისიც დროს არჩევს, მაგრამ ჩვენ დროს ვარჩევთ და მანევრებს ვაკეთებთ საერთაშორისო და საკუთარი მდგომარეობაში გლეხების მასების მიმართ, უკმაყოფილო საშუალო გლეხობის და ბურჟუაზიის მიმართ და რადგანაც ჩვენ შევრჩით ძალაუფლებას, ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ დროს ვირჩევთ და მანევრებს ვაკეთებთ კარგათ. მაგრამ ეს ბურჟუაზიაც ასევე ირჩევს დროს და აკეთებს მანევრებს. დადგა მისთვის რუსეთის სიმდიდრეების გამოყენების დრო; მას ახლა შეუძლია გამოიყენოს რამოდენიმედ რუსეთის ბაზარი, მოირჩინოს თავის დიდი ეკონომიური კრიზისები, მოაწყნაროს ამ შუამობაში მუშათა კლასი და ჩაახშოს მტრულათ განწყობილი მასები, თუ ისინი შეეცდებიან დეზორგანიზაციის შეტანას და სხვ. პერსპექტივების მხრივ რა გამომდინარეობს აქიდან? გამომდინარეობს, ის რაც მე უკვე ვთქვი, ხანგრძლივი, ნერვიული და მძიმე მუშათა კლასის ბრძოლა ძალა-უფლებისათვის არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. აქ ტალღები ადიან და ისევ ჩამოდიან. რამდენ ხანს გაგრძელდება ეს—ამის თქმა ძნელია. მაგრამ ცხადია, ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობაში ეს მოახდენს [illegible] გავლენას.

რგოლი თან და თან შევიწროვდება, იქნება ახალი ინტერვენციები ჩვენ შინაურ საქმეებში ახალი სამხედრო ჩარევა, ახალი შეტაკებები და ცდა ჩვენ დასახრჩობათ, შემდეგ რგოლი გაფართოვდება, დაიდება სავაჭრო ხელშეკრულებები. ჩვენ შევდგებით მუშათა კლასის ხანგრძლივ ბრძოლის გზაზე ბურჟუაზიასთან, ამასთან ამ ხანგრძლივ ეპოქაში მსოფლიო მუშათა კლასის ძალების ერთ ერთ ნაწილად არის და იქნება წითელი არმია. აი, რა პერსპექტივებამდი უნდა მივიდეთ ჩვენ, აი, რა პერსპექტივით უნდა გავხედოთ ჩვენ წითელ არმიის საკითხს, აი როგორ უნდა განვმარტოთ მარტო პარტიის შიგნით კი არა, არამედ მშრომელთა ფართო მასებშიც. ჩვენ ხშირათ ვლაპარაკობთ, რომ სამხედრო პერიოდიდან გადავედით სამეურნეოში. ეს, რასაკვირველია, მართალია იმ აზრით რომ ეხლა ჩვენ უფრო მეტი ძალები შეგვიძლია გადავიყვანოთ სამეურნეო სფეროში. მაგრამ რამდენადაც ნაკლებათ გათვითცნობიერებული მუშათა კლასის ელემენტებს ესმის ეს იმ აზრით, რომ წითელი არმიის ისტორიული როლი თითქო შესრულებულია, იმდენათ ეს უდიდეს საფრთხეს მოგვიმზადებდა (რომ იმას არ ებრძოდეს მოწინავე ელემენტები) იმით, რასაც ჩვენ ეხლა ხშირათ ვეძახით „ლიკვიდატორულ განწყობილებას“ წითელი არმიის მიმართ.

ეს ლიკვიდაცია (ამაზე არა ერთხელ ითქვა) რამოდენიმედ ხდებოდა კომუნისტების ზევითა ფენებში: წითელი არმიიდან წასვლა, რომელიც აქამდისაც არ შეწყვეტილა სვლებით, თუმცა პარტიის ცეკას პლენუმმა დაადგინა პარტიული მუშაკების ძირითადი შემადგენლობა გადარიცხოს წითელ არმიაში. ეს დენა სამეურნეო სამუშაოებისაკენ კიდევ გრძელდება. აქ საჭიროა, რომ პარტიულმა სამხედრო მუშაკებმა გაუწიოს ამას სასტიკი წინააღმდეგობა. იქ, სადაც პატივცემული საგუბერნიო კომიტეტში ხსნიან სამხედრო მუშაკებს მათთან შეთანხმებით (ეს ხდება ყოველთვის ნება ყოფლობით შეთანხმებით, წინააღმდეგ პარტიის ცეკას დადგენილებისა), პარტიულ სამხედრო მუშაკები უნდა სასტიკათ ებრძოლონ პატივცემულ მუშკომებს. ეს იქნება აუცილებელი ბრძოლა არმიის თვით არსებობის შენარჩუნებისათვის. ის დაკავშირებულია იმ ღრმა კრიტიკულ პერიოდთან, რომელშიდაც უნდა გაიაროს წითელმა არმიამ. ეს კრიტიკული პერიოდი გამომდინარეობს უპირველესად ყოვლისა საომარ მდგომარეობიდან სამშვიდობო აღმშენებლობაზე გადასვლიდან. ჩვენი წითელი არმია შესდგა უშუალო საფრთხის მდგომარეობაში, ჩვენი პარტიის გაცხოველებული აგიტაციისა და მკაცრი ზედამხედველობის საშუალებით თეთრგვარდიელთა ჯარების და გენერლების თვალ წინ... მაგრამ ეს ხელს უწყობდა მის მტკიცე შეკავშირებას.

ეხლა, მშვიდობიან მდგომარეობაში გადასვლის შემდეგ, მთელი ფსიქოლოგია იშლება. პირველ ყოვლისა საკითხი დგება, საჭიროა თუ არა არმიაში დარჩენა და როდესაც იქიდან მიდის უფრო მეტად მოწინავე და ენერგიული ელემენტები, კიდევ უფრო იბადება ეჭვი—რამდენად მიზანშეწონილი იქნება ეს მუშაობა ჯარში. ამხანაგ—კომუნისტებს უხდებათ ამ მიმდინარეობის წინააღმდეგ ბრძოლა და მათ, რომ უარი სთქვან ამაზე ასეთ გარდამავალ კრიტიკულ პერიოდში, ეს იქნება წითელი არმიის დაშლის დასაწყისი. ჩვენ აქამდი ჯარში გვყავდა გაწვეული 16 სხვა და სხვა წლების ახალგაზრდები, მაშინ კი ჩვენ არმიაში დარჩება 3 და შემდეგ 2 წლის 1900 და 1901 წ. გაწვეულები. ამასთან ერთად მცირდება ჯარის რიცხვი სამჯერ. ხანში შესულ მეომრების უვადოთ დათხოვნა დღეს აუცილებელია და ეს უფრო ახალგაზრდავებს ჯარს. ამ გათანასწორების დიდ უპირატესობას ჩვენ იმედი გვაქვს მივაღწევთ ახლო თვეებში; ამისათვის ჩვენ უნდა მივხსნათ მუშაობიდან დაახლოვებით 400 ათასი კაცი, რომლებიც არ იყვნენ თავის დროზე გაწვეულნი. ეს გაწვევა შრომის არმიიდან არ გატარდება შინა და გარეშე ზოგიერთ წინააღმდეგობის გაუწევლათ,—და აქ აგიტაციის ამოცანა იქნება დიდი: აუხსნათ არმიის გაახალგაზრდავების აზრი და გათანასწორება ხნოვანების მხრივ, რომლის უთანასწორობა იწვევს უკმაყოფილებას და პროტესტს.

ჩვენ გვინდა არმია როგორც ხანგრძლივი დაწესებულება, რომელიც იარსებებს მთელი ახლო ეპოქის განმავლობაში; აქედან ნათელია აგიტაციის როლი, რომელიც თან და თან გაიზრდება საერთაშორისო მდგომარეობის ცვლილებებთან დაკავშირებით. მისი მნიშვნელობა გაიზრდება აგრეთვე, ვინაიდან მომავალსათვის უნდა ველოდეთ ახლათ გაჩენილ საბჭოთა რესპუბლიკების შესაძლებელ და აუცილებელ წინსვლას. ეს აგიტაცია ჩვენ დაგვჭირდება ეხლა 1900—1901 წლების ახალგაზრდათა ჯარში გაწვევის დროს. ხანში შესულ ჯარის კაცების დათხოვნა პლიუსია,—ეს ჯარის გაახალგაზრდავებაა, მაგრამ ამასთანავე ეს დიდი მინუსია,—რადგანაც არმიას ეცლება ყველაზე უფრო გამოცდილი, ომებში გაკაჟებული ელემენტები, რომლებიც შეადგენდა ჯარების სულიერ სილამაზეს და რომლებითაც ის არსებობდა აქამდი. უახლოესი საფრთხე სწორედ იმაში მდგომარეობს რომ ამ გარდამავალ ხანაში არ ჰქონდა მიქცეული საკმაო ყურადღება მთლიანად არმიას, რომ არ იყოს სისტემატიური და საქმიანი აგიტაცია წითელი არმიაში, ჩვენ მივიდოდით არარაობამდი. ეს რასაკვირველია არ მოხდება.

ყოველ შემთხვევაში, ამ ჟამად აგიტაცია მეტის მეტად შესუსტებულია, ეს უდავო ფაქტია. მე ვფიქრობ, რომ იგივე ითქმის სავსებით საგუბერნიო პოლიტიკურ განათლების ორგანოებზეც. მე ვკითხე ვოლგის მხარის ოლქის ჯარების სარდალს და თქვენთვის ნუ იქნება საწყენი, მან მე მიპასუხა, რომ საგუბერნიო პოლიტიკური განათლების ორგანოები ვოლგის გუბერნიების უმრავლესობაში ჯარებში არავითარ მუშაობას არ ეწევიან და საერთოდ მათ დახმარებას ჩვენ ვერ ვხედავთო. შეიძლება ის აჭარბებდეს რადგანაც არმიის ცენტრში იმყოფება, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს საერთოდ სიმართლეს შეეფერება, და რომ პარტია და საგუბერნიო პოლიტიკური განათლების ორგანოები არ აძლევს თავის თავს საკმაო ანგარიშს იმაში, თუ როგორ მნიშვნელოვან პერიოდს განიცდის არმია და როგორ ესაჭიროება მას დახმარება. რასაკვირველია, ძველი აგიტაცია—ყაზარმაში შერბენა და მარტო სიტყვის თქმა, არ გამოდგება, იმიტომ რომ ახალ წითელ არმიელისათვის ეს ზოგადი ფრაზები იმპერიალიზმზე, რომლებიც რაღაცას ნიშნავდენ ძველი წითელი არმიელისათვის, სრულიად არ არის საჭირო. მაგრამ 19—20 წლის ახალგაზრდებისათვის, რომლებიც დღეს მოვიდენ, რომლებიც ჯერ ომში არ ყოფილან, ზოგადი

# ქრონიკა

**გემები პურით.** 18 ნოემბერს ბათომში მოვიდა გემი „კარნიოლი“ ბუნასოლდგან 2732 ტონი ხორბლით დატვირთული. მოთხოვნილია დასატვირთავად თბილისიდან 200 ვაგონი. 25 ელიან მეორე გემს დატვირთულს 2000 ტონ ხორბლით.

**სახალხო კომისარიატების შტატების გადასინჯვა.** ამ ქამად დამთავრებულია გადასინჯვა გარეშე საქმეთა კომისარიატის, იუსტიციის, სახალხო კომისარიატის და გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის კომისარიატისა. მუშურ-გლეხურ ინსპექციის, მიწად-მოქმედების და განათლების სახალხო კომისარიატების გადასინჯვა გრძელდება და ამ დღეებში დამთავრდება.

**შტატების შემცირების მუშაობა პროვინციაში.** ცენტრალურმა საშტატო კომისიამ დაგზავნა მაზრებში ინსტრუქციები ადგილობრივ დაწესებულებათა შტატების გადასასინჯავათ. უმეტეს მაზრებში მუშაობა დაწყებულია, ზოგში კი, როგორც ქუთაისისა და ბათომისაში უკვე დამთავრდა, ცენტრალურ კომისიაში მოასვენების შემდეგ მათში მოხდება შტატების შემცირება და დამყარდება მტკიცე შტატები.

**ვლ. მესხიშვილის გარდაცვალების წლის თავი.** ქართულ თეატრის დამსახურებულ მსახიობ ვლ. მესხიშვილის გარდაცვალების წლის თავის აღნიშვნა გადაწყვეტილია მოხდეს კვირას 27 ს ნოემბერს დრამის თეატრის დარბაზში, სადაც გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი და წარმოთქმული სიტყვები ქართველ მწერლების და მსახიობების მიერ.

— **ბრძანება საბინაო ქვეგანყოფილებისადმი.** ამა რიცხვიდან მაღაზიებიც და სავაჭრო ბინების საკითხი გამოყოფილია საბინაო განყოფილების საერთო გამგებლობიდან და გადადის ქალაქის რევკომის სამეურნეო კომიტეტის გამგებლობაში. სავაჭრო ბინების ყველა საკითხების შესახებ უნდა მიმართონ ამ კომისიას. კომუნალურ გან. გამგე გ. გოგიტიშვილი.

**პოლიტგანათლების ორგანოების ყრილობა.**

დეკემბრის პირველისათვის განათლების სახალხო კომისარიატში დანიშნულია ქალაქების და მაზრების სახალხო განათლების და პოლიტიკურ განათლების მმართველობის განყოფილებათა გამგეების ყრილობა, ადგილობრივ სწორი-გეგმიან მუშაობის დასაწესებლად. სახალხო განათლების ყველა განყოფილებათა გამგენი და პოლიტიკურ განათლების განყოფილებათა გამგენი უნდა მოვიდნენ ნამდვილ ცნობებით, შესახებ სახალხო განათლების განყოფილების ყოველგვარ მუშაობისა, სასწავლო და განმანათლებელ დაწესებულებათა რაოდენობის აღნიშვნით, თანამშრომელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა სახელობითი ჩამოთვლილი სიით, დაწვრილებითი მატერიალურ ანგარიშებებით და აღრიცხვით მომავალ წლისათვის, ყველა დაწესებულებებში არსებულ მოწყობილებების სიით და წინასწარ დასკვნებით დაქვემდებარებულ დაწესებულებათა მომარაგების შესახებ, რაც ადგილობრივ მუშა-გლეხთა ინსპექციის განყოფილებების და რევკომების მიერ უნდა იქმნას გადასინჯული. ყველა გამგეებმა ახალ ეკონომიურ პროგრამასთან დაკავშირებით, აგრეთვე უნდა წარმოადგინონ ნამდვილი ცნობები და მოსაზრებანი სასწავლო და სასწავლო—დამხმარე დაწესებულებებისა და სასწავლებლების შესახებ, რომელთაც ნაწილობრივად შეუძლიანთ თავიანთ ხარჯების ანაზღაურება, რომელთაც შეუძლიათ თავის თავის შენახვა და ბოლოს, იმათ შესახებაც, რომელთაც შეუძლიანთ შემოსავლის ზედმეტი შემოსავალი მოგვცენ.

**ყრილობის პროგრამა.**

1. მიმდინარე მომენტი და ძირითადი მიზნები ახალ ეკონომიურ პოლიტიკისა: 2. სახალხო განათლების უახლოესი მიზნები. 3. სახალხო განათლებათა უფროსების მოხსენებები თავის მოქმედების შესახებ უახლოეს გეგმითი მიზანთან დაკავშირებით თავის მუშაობის დარგში. 4. საორგანიზაციო საკითხები და ფულით გაღების და მომარაგების საკითხი სახალხო განათლებისათვის ახალ ეკონომიურ პირობების მიხედვით.

# საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

**გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის მუშაობა.**

ეკონომიურ ბრძოლაში კაპიტალისტების მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ საბჭოთა რესპუბლიკებიც აგრეთვე გაერთიანებულნი უნდა გამოდიოდნენ. საგარეო ვაჭრობა ამ დარგში ჩვენს „მოწინავე პოზიციას“ წარმოადგენს. სრული ერთსულოვნება აქ უფრო აუცილებელია, ვინემ სადმე.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის ორგანოთა გაერთიანების საკითხი გადაწყდა ჯერ კიდევ ა. წ. ივლისში. საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. გარეშე ბაზარზე საერთო გამოსვლების და, ამ მიზნით, ხსენებული სამი რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობისათვის კავშირის, გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის შექმნის შესახებ.

ამ თანახმად ამ ხელშეკრულებისა გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის განკარგულებაში უნდა გადასულიყო ამ რესპუბლიკების ყველა რესურსები და მარაგი, დანიშნული საგარეო სავაჭრო ურთიერთობისათვის: ყველა თანხები, ძვირფასეულობანი, საქონლის გადაცვლისათვის მთელი დამზადებული ნედლეული.

გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კოლეგიაში შედიან სამივე რესპუბლიკის წარმომადგენელნი, და აგრეთვე რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის წარმომადგენელი.

კოლეგიის პირველსავე სხდომაზე დასახულ იქნა მომავალი მუშაობის გეგმა. განზრახული იყო, უმთავრესად შეეყიდვა რესპუბლიკებში არსებულ წარმოებათათვის ტეხნიკურ მოწყობილობის საგნებისა, შემდეგ წამლეულის და ფართლეულისა, და ბოლოს უკანასკნელ რიგში, სასურსათო პროდუქტებისა. მაგრამ მალე, თავზე დატეხილ სიმშილთან დაკავშირებით, ეს რიგი უნდა გამოგვეცვალა და უმთავრესი ყურადღება მიგვექცია პურის შეყიდვაზე.

გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობას, შედარებით, ცოტა საშუალებანი გააჩნდა, ხოლო „შემკვეთელები“ ბევრი ჰყავდა. რესპუბლიკების მოსახლეობის გარდა, მის მომარაგებაზე იყვნენ სამი დამკვრელი უწყება: ჯარი, სანავთო კომიტეტი და რკინის გზები. თითოეული, საზღვარგარედან მიღებული ფუთი სურსათი უნდა დაგვეყო რამოდენიმე ნაწილად, და ყოველ ამ „შემკვეთელთაგანს“ არც ისე ბევრი ხვდებოდა.

საზღვარ-გარედ შეყიდვის საქმის მოგვარებას, გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის მუშაობას ხელს უშლიდა მრავალი გარემოება: პირველი, ის, რომ ხელშეკრულება სავაჭრო კავშირის შესახებ ბევრ ხანს მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა და მისი ხელმომწერი მხარენი არ ჩქარობდნენ მის განხორციელებას ცხოვრებაში და უწინდებურად დამოუკიდებლად გამოდიოდნენ. მეორე, ის, რომ გაერთიანებული საგარეო ვაჭრობას პირველ ხანებში უხდებოდა ოპერაციების წარმოება მხოლოდ ჩვენთვის ფრიად არახელსაყრელ სტამბოლის ბაზარზე, რომლის ატმოსფერა ამხ. კრასინმა განსაზღვრა, როგორც „სპეკულიანტური“ და „ავადმყოფური“.

მიუხედავად ამისა, სტამბოლში შესყიდულ იქნა და გადაეცა რესპუბლიკებს და დამკვრელ უწყებებს 26.000 ფუთამდე პური, 40,000 ფუთი შაქარი და მრავალი სხვა პროდუქტები.

გაერთიანებული საგარეო ვაჭრობა არ კმაყოფილდებოდა სტამბოლით და იწყო სასურსათო პროდუქტების შესყიდვის მოგვარება სპარსეთის აზერბეიჯანში. იქიდან შემოსული საგნების რაოდენობა დიდი არ ყოფილა დღევანდლამდე, ორგანიზაციული მოუწყობილობის წყალობით, მაგრამ მიღებულია ყველა ზომები და არის იმედი, რომ მოვახერხებთ მივიღოთ სპარსეთიდან ყოველთვიურად 60,000 ფუთამდე ფქვილი და 6,000 თავამდე პირუტყვი. სპარსეთის აზერბეიჯანში იწყობა საწყობები და მოსარეკი პუნქტები.

უკანასკნელ დროს, გაერთიანებული საგარეო ვაჭრობამ შესძლო ბოლოს, ფართე საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლა. შესყიდულია და ამ დღეებში უნდა მივიღოთ 250 000 ფუთი ამერიკიდან. მოველით 150,000 ფუთზე მეტი პური ინგლისიდან. წარმოებს წინასწარი მოლაპარაკება პურის შესყიდვაზე ბულგარეთში.

მთელი ეს შესყიდვა წარმოებდა, უმთავრესად საბჭოთა რუსეთის მიერ გაღებულ საშუალებებით. რესპუბლიკების ნედლეული ფონდი მხოლოდ ახლა იყრის თავს გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობაში. ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ ამ საქონელთაგანი უმნიშვნელოვანესის—ბაქოს ნავთის გასაღება გაძნელდა, იმის წყალობით, რომ წინეთ, მას გაყიდვის დროს სტამბოლის ბაზარზე ბაქოს სანავთო კომიტეტის მიერ, დაშვებული იყო მთელი რიგი შეცდომები, რის შედეგად ნავთის ფასი დაეცა. ახლა გაერთიანებული საგარეო ვაჭრობა აჩერებს ნავთის პროდუქტებს და ნამდვილ ფასებს უცდის.

დამკვრელ უწყებათა მიმართ, გაერთიანებულმა საგარეო ვაჭრობამ მიაღწია იმას, რომ მათთვის სურსათის შესასყიდად წინასწარ გაიცემა და გადაეცემა გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობას განსაზღვრული ვალი, რომლის ფარგლებში მას შეუძლია მოქმედება. ოქროს საგრძნობი რაოდენობა გაღებულია ჯარისათვის სურსათის შესასყიდად, სანავთო კომიტეტისათვის ყოველთვიურად ეძლევა 500,000 მანეთის ოქროთი.

ასეთივე წესი უნდა იქმნას დაწესებული ყველა სხვა „შემკვეთელთა“ მიმართ. გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობას ექნება მაშინ საგრძნობი სატრიალებელი თანხა. საშუალებათა უქონლობა გამო მას, როგორც შედარებით წვრილ მყიდველს, ხშირად უხდება ზედმეტის გადახდა.

ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსი არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის მოღვაწეობაზე. დაშვებულ იქმნა და ცხოვრებაში გატარებული მთელი რიგი არსებითი „გადახვევანი“ სახელმწიფოებრივი მონოპოლიისა, როგორც კოოპერატივისა, ისე კერძო ვაჭრობისათვის. მუშავდება სია საქონლისა, რომელიც სავსებით თავისუფლდება გადასახადისაგან, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის შემოაქვს იგი. ამ სიაში მოთავსებულია ტეხნიკური მოწყობილობის საგნები, სურსათი, წამლეული.

მიუხედავად საგარეო ვაჭრობათა გაერთიანებისა, საბაჟო პოლიტიკა რესპუბლიკებში საკმაოდ ჭრელ ხასიათს ატარებს. მისი მოსაწესრიგებლად, ოქტომბრის დასასრულს, გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის თაოსნობით, მოწვეულია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბაჟო თათბირი, რომელმაც მოათავსა საბაჟო საქმე საერთო ფარგლებში და დააყენა იგი ზოგად გადაწყვეტილებათა ნიადაგზე.

ყველა ეს ღონისძიებანი იწვევენ პირველ მოთხოვნილების საგნების გამრავლებას ამიერ-კავკასიის ბაზრებზე და ამ საგნების გაიაფებას. ფასებმა სურსათზე, ფართლეულობაზე, ფეხსაცმელზე საგრძნობლად დაიკლო მას შემდეგ, რაც მოიხსნა ზღუდეები, რომელნიც ელობებოდნენ მათი თავისუფალი შემოზიდვას. თუ დროგამოშვებით ეჩნევა ფასების აწევა ამ საგნებზე, ეს დამოკიდებულია გარემოებებზე, რომელნიც გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომპეტენციის გარეშე იმყოფებიან.

რა თქმა უნდა, გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის მიერ გაკეთებულია გაცილებით ნაკლები, ვინემ საჭირო იყო. მაგრამ დამნაშავე არა იმდენად გაერთიანებული საგარეო ვაჭრობა, რამდენად ის ვითარება, რომელშიაც მას უხდებოდა თავისი მუშაობის მოგვარება. ძალიან ბევრი იყო ყოველგვარი „დამოუკიდებელი მიზეზი“.

ახლა მდგომარეობა უმჯობესდება. რესპუბლიკების მთავრობებმა შესაძლებლად ცნეს საბოლოოდ გაეუქმებინათ თავისი ნაციონალური საგარეო ვაჭრობანი და გადაეცათ უცხოეთის ბაზარზე შესყიდვის საქმე სავსებით და მხოლოდ გაერთიანებული საგარეო ვაჭრობისათვის. აზერბეიჯანის და სომხეთის საგარეო ვაჭრობის კომისარიატები უკვე გაუქმებულია. თანდათან ეწყობა სავალიუტო ნედლეულის საქმეც. ეს ნედლეული გაერთიანებული საგარეო ვაჭრობას ამ ქამად მოეპოვება არა ერთი ათეულ მილიონისა ომის წინანდელი კურსით. მისი განაღდება უკვე დაიწყო მსოფლიო ბაზარზე. [illegible], გაყიდულია ჭიათურის შავი-ქვის დიდი პარტიები, რომელიც ვერ პოულობდა ბაზარს მსოფლიო ომის დაწყებიდან, ფოთის ნავთსადგურში 2 ნოემბერს მოვიდა პირველი უცხოელი გემი, რომელიც შავი-ქვით უნდა დაიტვირთოს.

ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს, გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის და მისი ფოთის განყოფილების ღონისძიებათა წყალობით, აღორძინდა და მუშაობა დაიწყო ფოთის ნავთსადგურმა, რომელიც ითვლება უფრო დამცველად, გამოსადეგად და უკეთ მოწყობილად, ვინემ ბათომის ნავთსადგური.

რა ნაირიც არ უნდა იყოს, გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის ნაკლულევანებანი, ერთი ცხადია: გაერთიანებული საგარეო ვაჭრობა დგას სწორ გზაზე, აკეთებს ამიერ-კავკასიისათვის პრაქტიკულ და აუცილებელ სამუშაოს.

---

ფრაზები იმპერიალიზმზე სრულიად გაუგებარი, შეუთვისებელია, და ამიტომ ასეთი ზერელე აგიტაცია არ არი საჭირო. აქ უნდა სისტემატიური ახსნა. მტერს ის არ გრძნობს და სახელდობრ დროის ინსტრუქცია, დე ისიც გაუგებარ ენაზე მის გულს არ ეკარება. ამისათვის იგი უნდა გაიცნოთ მიწაზე არსებულ რეალობას და დაიწყოთ რუმინეთ-პოლონეთიდან.

რითაც არ უნდა დაგვიჯდეს ჩვენ უნდა შევქმნათ საერთოდ იმპერიალიზმზე შაბლონიურ აგიტაციის მაგივრად შინაარსიანი ბროშურების სერია ჩვენი მეზობლების შესახებ. ამ ბროშურებით ჩვენ უნდა ვასწავლოთ თუ რას წარმოადგენს მაგ. რუმინეთი, რა მდგომარეობაში იმყოფება რუმინეთის გლეხი, რას წარმოადგენს პოლონეთი და სხვ. შესაძლებელია ასეთი ბროშურები დავყოთ ორი განყოფილებით: ერთი უფრო სერიოზული—პოლიტიკური მუშაკებისთვის, კომისარებისათვის და სხვ. და მეორე სრულიად უბრალო—უცოდინარი გლეხისათვის. ამასთან ერთად, რასაკვირველია, საჭიროა ასეთი ბროშურების შინაარსი გატარდეს არმიის პოლიტიკურ შემადგენლობის თავში, რომ ვიცოდეთ, რა მდგომარეობაში ვცხოვრობთ ჩვენ.

ჩვენმა მეომარმა უნდა იცოდეს ვის ებრძვის ის, რატომ იბრძვის. უნდა ვასწავლოთ მას და აგრეთვე მის კომანდირების შემადგენლობას. ყველა ასეულებმა და ყველა ათასეულებმა იცის ის რაც უნდა იცოდნენ? სრულიადაც არა. მართალია, ისინი აგინებენ პოლონეთს, აგინებენ რუმინეთს, მაგრამ აგინებენ მხოლოთ. რასაკვირველია ის არ ცდება და არსებითად ის მართალია, როდესაც აგინებს პოლონეთს ან რუმინეთს, მაგრამ ჩვენ ხომ ყოველთვის არ ვაწარმოებთ ომს, უნდა ყველაფერი აუხსნათ როგორ და რისთვის. ამისთვის კი საჭიროა სახელმძღვანელო, რომელიც ახლოს იდგომება წითელ არმიასთან. ეს უკვე პოლიტიკურ განათლების ორგანოების საქმეა.

შემდეგ, როდესაც წითელ არმიელი მოქმედ ჯარშია, ის უპირველეს ყოვლისა გაბმულია ომში, ბრძოლაში. მაგრამ წითელ არმიელი, რომელიც ცხოვრობს შესვენების ხანაში, ყველაფერზე ადრე ათვალიერებს თუ რა ახვევია მას ირგვლივ კაზარმაში და ბანაკში. მშვიდობიან დროის წითელ არმიელი უკვე ყურადღებით ეკიდება წვრილმანებს. ომი, როგორც იტყვიან, მეომრული ცხოვრებაა. ომში, თუ წითელ არმიელს არაფერი აქვს საჭმელი, წაგლეჯავს გლეხს, მაგრამ თუ არავინ არი წასაგლეჯი, ის იშიმშილებს. და აქ თუმცა ჩანს მექანიზმის ნაკლი, მაგრამ წითელარმიელი ამას ლმობიერათ უყურებს, რადგანაც გრძნობს, რომ რას იზამ—ომია. მშვიდობიან დროს კი საქმე სულ სხვანაირად არი: მშვიდობიან დროს ის თხოულობს, რომ ყაზარმაში იქნეს ყველაფერი კარგათ, რომ ყაზარმას ჰქონდეს ფანჯრები, რომ ფანჯარას იქნეს მინით, რომ ყაზარმაში იყოს კარები, რომ იქ იდგეს ბუხარი. ის უკვე გაცილებით უფრო მეტს ითხოვს და უკვე იწყებს ბურდღუნს, თუ მას რამე არ აკმაყოფილებს, და ხედავს რომ უდიერათ ექცევიან მის მოთხოვნილებებს.

მეორე მხრით, მშვიდობიან დროს გარშემო არსებული პირობებიც მეტს თხოულობენ წითელ არმიელისაგან ვიდრე ომის ხანაში. ომის დროს, წითელ არმიელმა რომ ჩაამტვრიოს კარები, იმიტომ რომ მას არ ჰქონდა შეშა ცეცხლისათვის, ამას თითონ ის გლეხიც, რომელსაც ჩამოუმტვრიეს კარები, ლმობიერათ ხვდება—რადგანაც ომია. მშვიდობიან დროს კი გარემო პირობები უფრო მეტს ითხოვენ წითელ არმიელისაგან. მშვიდობიან დროს ჩვენ ვხედავთ დიდ მოთხოვნილებებს წითელი არმიელის სახელმწიფოსადმი და წინააღმდეგ სახელმწიფოს წითელ არმიელისადმი. მშვიდობიან დროს წითელი არმიელი თხოულობს მეტ წეს-რიგს, ე. ი. სწორედ იმას, რაც—უნდა გამოვტყდეთ ჩვენ ერთად—როგორც არმიაში, ისე სხვა სფეროებშიაც მართლაც არ გვაქვს. აქ ჩვენ გვჭირდება დეტალური მუშაობა. საფუძვლიანი მუშაობა წითელ არმიელის აღსაზრდელათ. უნდა მივაქციოთ მისი ყურადღება წვრილმანებს, რომლებიდანაც დგება ცხოვრება.

ჩვენი განსხვავება, როგორც პარტიულ კომუნისტური ჯგუფის—იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი აღზრდის დროს წარსულში ვიბრძოდით რევოლუციონურად. ჩვენ წინ იდგა რეჟიმი, რომელიც იქმნებოდა ასეული და ათასეული წლების განმავლობაში. ის ქმნიდა ბატონობას, კულტურას, ტეხნიკას და ბევრ დარგებში მიაღწია დიდ შედეგებს. ჩვენთვის საჭირო იყო ჩამოგვეგდო ძველი ბატონი იმიტომ, რომ დავპატრონებოდით ძალა-უფლებას. და ჩვენ ბრძოლის დროს ყურადღებას ვერ მივაქცევდით იმას, იმტვრეოდა ფანჯარის მინები თუ იწვებოდა სახლები. ეს იყო ერთიანი ბრძოლა ბურჟუაზიასთან სახელმწიფო ძალა-უფლებისათვის, ბრძოლა, რომელსაც არ შეეძლო ესწავლებია ჩვენთვის დეტალებისა და წვრილმანების ყურადღების მიქცევა. წინააღმდეგ ჩვენ სიძულვილით ვექცეოდით ამ წვრილმანებს და როდესაც ჩვენ გველაპარაკებოდნენ ბატონი ფილისტერები, რომ რევოლუცია სპობს კულტურას და სხვ. ჩვენ ხელს ვიქნევდით. მუშაობა იყო იმდენად დიდი, რომ ჩვენ არ ვერიდებოდით მინების მტვრევას და იმ ნაფოტებს, რომლებიც ცვიოდენ.

იმის შემდეგ, რაც ჩვენ ძალა-უფლება ხელში ჩავიგდეთ, დადგა სამოქალაქო ომის ხანა. და რა დავინახეთ ჩვენ? კიდევ იგივე: „ტყეს სჭრიან, ნაფოტები სცვივა“. და ბევრი ჩამოცვივდა რუსეთის ნაფოტები. აი, ახლა ჩვენ ვიწყებთ აღმშენებლობას—და აქ მასების გარდაქმნა აუცილებელია, რადგანაც აშენება ნაფოტებიდან არ შეიძლება. მაგრამ ეხლა მუშაობა ითხოვს ახალ მეთოდებს.

გლეხობამ გაიარა იმპერიალისტური ომი და გამოცადა მისდამი ბურჟუაზიის სიძულვილი, შემდეგ დადგა სამოქალაქო ომის ხანა,—ცხადია, რომ ყველაფერს ამას არ შეეძლო ჩაენერგა მათში მზრუნველობითი ყურადღება დეტალებისა და წვრილმანებისადმი. და სწორედ დეტალების და წვრილმანების ყურადღება შეადგენს აუცილებელ პირობას მეურნეობის და კულტურის ამაღლებისათვის. როდესაც ღებულობ მოხსენებას, რომ დივიზიაში, პოლკში ან ბრიგადაში ცხენები კარგად არიან დაჭედილი, სუფთად ინახებიან და სხვ.—ეს პატარა საქმეა, მაგრამ გახარებული ხარ და გრძნობ კმაყოფილებას. ამას მნიშვნელობა აქვს ამაღლებისათვის, წინ წაწევისათვის: მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ასეთ მოხსენებას ვერ ღებულობ, არამედ გატყობინებენ, რომ ცხენები ბევრი ნარბენია, გაუწმენდელია, ცუდათ დაჭედილია ან სულ ავარდნილი აქვს ნალები და სხვ. საერთოდ ყველაფერი ის, რასაც ვამჩნევთ ყველა ჩვენ დარგებში.

მთელი ყურადღება ახლა მიქცეული უნდა იქნეს წითელი ჯარის აღზრდას. თუ წარსულ პერიოდში ის იზრდებოდა მასიურ რევოლუციონურ შეძახილებით:—„აი, თეთრები, ვრანგელი, დენიკინი, მტრები!“—ჯარი მაშინ სუსტათ იყო მოწყობილი, კომანდირთა შემადგენლობა ნახევრათ იყო ჩვენი, ნახევრათ უვარგისი და ყველაფერს ამას აკავშირებდა ჩვენი პარტია და საერთოდ და მთლიანად ჩვენ გვიმარჯვეთ. ეხლა ეს მუხრუჭი, რომელიც დღეს ჩვენ არმიას, აღარ არი ისე ახლო.

ყველაფერი ამას თეორეტიულად უცებ შეთვისება გლეხურ მასებისათვის ძნელია, ამას თქმა არ უნდა. მისი აღზრდა შეიძლება პროპაგანდით თანდათანობით ზევითა ფენებიდან დაწყებული და მერე ქვევით. მაგრამ წითელი არმიის შინაგანი კავშირის უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ ერთი მხრივ დეტალებისა და წითელ არმიელის საჭიროებებზე ყურადღების მიქცევით, და მეორე მხრივ მიჩვევით, რომ ის მეტ მზრუნველობას იჩენდეს სამეურნეო ცხოვრების წვრილმანებისადმი.

ეს უდიდესი აღმზრდელობითი ამოცანა, რომელიც ჩვენ წინაშე დგას და რომელიც ჩვენ უნდა გავატაროთ რითაც არ უნდა დაგვიჯდეს. ეს ყველაზე უფრო უძნელესი საქმეა, რადგანაც ის ნიშნავს ხელ ახლა ინდივიდუალურ აღზრდას როგორც ხელმძღვანელი მუშაკებისას; ისე წითელ არმიელთა მასისას მთლიანად. და ჩვენ ეს უნდა შევასრულოთ. უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომანდირთა შემადგენლობის აღზრდას. კომანდირთა შემადგენლობის აღზრდა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყურადღებას მივაქცევთ მის მატერიალურ საჭიროებებს.

(დასასრული იქნება)

---

**ხე ტყის დამზადება.**

საქართველოს რევკომის თავმჯდომარის განკარგულებით, სატყეო კომიტეტის ყველა ორგანიზაციებს და კონტრაგენტებს, რომლებიც აწარმოებენ ყარაიას რაიონში ხე-ტყის დამზადებას, ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ აღნიშნულ რაიონში ტყის კომიტეტის ნებართვით, და სხვა ორგანიზაციებს, მათი რიცხვში მთავარ სამხედრო-საინჟინერო სამმართველოსაც და რკინის გზასაც, წინადადება მიეცათ საწრაფოთ შესწყვიტონ ხე-ტყის დამზადების მუშაობა, მოახდინონ დამზადებული მასალის ლიკვიდაცია და დამზადება გადაიტანონ მე 17 არხის რაიონში თბილისის მიმართულებით.

**საკვებ-ქიმიური მრეწველობა.**

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა, მოისმინა რა მოხსენება ამხ. ვირაპისა საკვებ-ქიმიური მრეწველობის სამეურნეო კომერციულ საფუძველზე გადასვლის შესახებ, დაადგინა: 1) გადიტანოს საკვებ-ქიმიური მრეწველობა სამეურნეო-კომერციულ საფუძველზე მთელი თავისი გამომდინარე შედეგებით და 2) შეადგინოს ყველა წარმოების ფულის და ნივთიერი ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც წარუდგინოს საქართველოს რევკომს დასამტკიცებლად.

ამასთან შინაურ ბაზარზე სავაჭრო ოპერაციები უნდა სწარმოებდეს სახალხო-სასურსათო კომისარიატის და მომარაგების საბჭოს საშუალებით, გარეშე ბაზარზე—გაერთიანებული საგარეო სახალხო ვაჭრობის საშუალებით.

**გზა ტკეცილები.**

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა, განიხილა და შუამდგომლობა ლეჩხუმის რევკომისა გზა ტკეცილის გაყვანის შესახებ ცაგერიდან ალპანადის და ცაგერიდან ბუქმოთის ხიდამდის, დაადგინა ამ გზების გაყვანა შეიტანოს წარმოებითი პროგრამაში, მისცეს გზებისთვის საჭირო მასალა, წინადადება მიეცეს სახელმწიფო შენობათა კომიტეტს წარმოადგინოს ამ გზების გეგმა. რაც შეეხება მუშათა ძალის საკითხს, დადგენილია ეცნობოს ლეჩხუმის რევკომს, რომ მუშათა ძალა უნდა გაყვანილ იქნეს ადგილობრივ მცხოვრებლების მიერ საერთო საგზაო ბეგრის წესით.

**ტყავეულობის განყოფილება.**

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა დაშალოს ტყავეულობის განყოფილების კოლეგია და დროებით შექმნას ერთპიროვნული თანამდებობა.

**გზა ტკეცილების მდგომარეობა.**

სახელმწიფო შენობათა კომიტეტის კოლეგიამ ჰიდრო-შენობათა გამგის მოხსენების გამო გზების მდგომარეობის შესახებ სიღნაღ—თბილისის, ლაგოდეხ—თელავის და სხვებისა, დაადგინა: სახელმწიფო შენობათა კომიტეტის საწყობიდან მისცეს რიგ გარეშე შეძლების დაგვარად იარაღები და ეთხოვოს სიღნაღის რევკომს, თანახმად მისი დაპირებისა, გამოგზავნოს სამუშაოზედ საჭირო მუშათა კადრი.

**შრომის ბეგარა.**

**გზა-ტკეცილების შესახებ.** შრომის სახალხო კომისარიატმა ნება დართო გაატარონ შრომის ბეგარა გზა ტკეცილების შესაკეთებლად, თანახმად ხარჯთ-აღრიცხვისა, რომელიც წარმოუდგინა სახელმწიფო შენობათა კომიტეტმა. თბილისის და ლაგოდეხის რევკომებს და შრომის განყოფილებებს: თელავის, ხაშურის, ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის ქუთაისის, ახალსენაკის, ზუგდიდის სიღნაღის და ოზურგეთისას დაეგზავნა მიწერილობანი სისრულეში მოიყვანონ მუშათა და გადასაზიდ საშუალებათა მოწყობის საქმე ამ რემონტის ჩასატარებლათ. ამავე დროს წინადადება მიეცა გზათა განყოფილებას მისცეს განკარგულება გზათა ადმინისტრაციას, რათა სასწრაფოთ შეუდგეს მუშაობას.

**რკინის გზის შეკეთება.** რკინის გზის სამართველომ მიმართა შრომის სახალხო კომისარიატს შუამდგომლობით შრომის ბეგარის გასატარებლად საქართველოს რკინის-გზის 7 უბნის შესაკეთებლათ ნავთლუღიდან-სალოლამდის. ამ შეკეთების წარმოება მოითხოვს მუშათა ძალის 16,200 კაც—დღისა.

**სოღანლუღის ხიდი.** სოღანლუღის ხიდის შესაკეთებლათ რკინის გზის სამართველომ სთხოვა შრომის კომისარიატს გაატაროს შრომის ბეგარა 1.200 კაც—დღისა.

შეშის გადმოზიდვა შრომის კომისარიატის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა 1000 მუშათა მობილიზაციის შესახებ 200 საჟენი შეშის გადმოსატანათ ქალაქ გორის მუშა-მოსამსახურეებისათვის.

# თეატრი და ხელოვნება

სამშაბათს 29 ნოემბერს სახელმწიფო დრამის თეატრში განახლებულ იქნება ალ. შანშიაშვილის ორიგინალი ტრაგედია „ბერდო-შმანია“ 5 მოქმედებად ალ. ახმეტელის რეჟისორობით. სიმფონიური ორკესტრი ალ. გველესიანის ლოტბარობით შეასრულებს დ. არაყიშვილის მუსიკას, სპეციალურად დაწერილს ამ პიესისათვის.

დეკორაციები და ტანისამოსი მხატვარ ვალ. სიდამონ—ერისთავისა.

ახალი ბალეტი შემუშავებულია და დადგმულ იქნება ალ. ახმეტელის მიერ.

**პროლეტარული სტუდია.**

მთავარ პოლიტიკურ განათლების განყოფილებასთან დაარსდა პროლეტარულ ხელოვნების ქართული დრამატიული სტუდია. სტუდიის სამეცადინო ბინა არის მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბში, 4 რაიონში. სტუდიელების მიღება სწარმოებს დილის 9 საათიდან 12 საათამდე. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება სტუდიის გამგესთან, დ. კობახიძესთან.

**სახელმწიფო სამუსიკო სასწავლებელი.**

ყოფილი სამუსიკო ინსტიტუტი, ამ ქამად სახელმწიფო მუსიკალურ სასწავლებლად გადაკეთებული, მოთავსებულია ქალთა მე 2 გიმნაზიის შენობაში. მისაღები გამოცდები ყოველ დღე (გარდა ორშაბათისა და ხუთშაბათისა) საღამოს 5—7 საათამდე.

**მუშათა მუსიკალური სტუდიები.**

ქალაქის მუშათა რაიონებში გახსნილმა მუშათა ბავშვების სამუსიკო სტუდიებმა დაიწყეს მოქმედება. ჯერ გახსნილია სულ 9 სტუდია. მუსიკის სწავლის მსურველნი ძლიერ ბევრია, განსაკუთრებით რაიონის კლასში.

**კონცერტი ვოლგის მხრის დამშეულთა სასარგებლოდ.**

სახელ. ოპერის მსახიობი ქალი ხუნკანისა ამ დღეებში სახელმწიფო ოპერის თეატრში მართავს დიდ საღამოს ვოლგის მხარის დამშეულთა სასარგებლოდ. საღამოს პროგრამაში შედის „სევილიელი დალაქი“ და საკონცერტო განყოფილება, რომელშიაც გამოვა მოსკოვიდგან ჩამოსული ბარიტონი შველიძე, პიროგოვი, არფაზე დამკვრელი სოლისტი ქალი მოლიკა და პიანინოს დამკვრელი ორლოვი. თბილისიდგან ეს მსახიობები წავლენ ბათომში, იქიდგან კი იტალიაში (რომში და მილანში).

**სახელმწიფო დრამის მცირე თეატრის გახსნა.**

20 ნოემბერს მოხდა სახელმწიფო დრამის მცირე თეატრის და ქართულ-რუსული დრამის სეზონის გახსნა. გამოცხადებულ ქართულ პიესის „შვილის“ მაგივრად დადგმულ იქნა კომედია „გუვერნიორი“ პეტრეპას მონაწილეობით. თეატრი ხალხით სავსე იყო.

**თეატრალური საქმე თელავში.**

ხელოვნების მუშაკთა მდგომარეობა თელავში მძიმეა. ცენტრი ვერ აწვდის საკმაო ფულს, ადგილობრივ კი საშუალებანი არ არის. პოლიტიკურმა განათლების განყოფილებამ ქართული დრამა გამოაცხადა სახელმწიფოდ, მაგრამ თეატრის სეზონი ჯერ არ დაწყებულა. რუსულ და სომხურ დასებს მიცემული აქვთ საშუალება იმუშაონ კოლექტიურად. სომხური სექცია ხოსროევის რეჟისორობით გაჭირვებით მუშაობს. მისი უკანასკნელი დადგმა არის „შერლოკ-ჰოლმს“-ი, დანარჩენი მსახიობები გაიფანტნენ სოფლებში სამუშაოს საშოვნელად.

## ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის მე-4 წლის თავი

20 ნოემბერს საქართველოს ახალგაზრდა პროლეტარიატმა დიდის ზეიმით იდღესასწაულა მე 4 წლის თავი თავის შრომის, ბრძოლის და გამარჯვებისა.

თორმეტ საათზე საქართველოს ა. კ. ც. კ. შენობასთან მოვიდნენ კურსელები რაიონული ორგანიზაციები. პირველად მოვიდნენ აღმოსავლეთ ბრიგადის კურსელები თავიანთი დროშით და ჩამწკრივდნენ რუსთაველის პროსპექტზე, მათ მოჰყვნენ 1—ქართულ სამხედრო სკოლის კურსელები, შემდეგ კი მუშათა სასახლის მხრიდან გამოჩნდნენ ა. კ. კ. რაიონული ორგანიზაციები, კავშირის დროშით. ა. კ. კ. რაზმებს ხვდებიან ინტერნაციონალით და სალამით.

**დროშის გადაცემა**

12 საათზე ინტერნაციონალის სიმღერების დროს იხდება ფარდა და ესტრადაზე პრეზიდიუმის ადგილს იჭერენ ა. კ. კ. ც. კ. წევრები და ამხანაგები მ. ორახელაშვილი, ლ. დუმბაძე, და სხვა. პრეზიდიუმის მაგიდის უკან გაშლილია ა. კ. კ. ორგანიზაციების და აღმოსავლეთ ბრიგადის კურსელების დროშა. აქვე ესტრადაზე, ცალკე მაგიდაზე სდგას ლიბკნეხტის სურათი.

ესტრადაზე გამოაქვთ ა. კ. კ. თბილისის ორგანიზაციისადმი მისაძღვნელი დროშა. წითელი აბრეშუმის მატერია გარშემო ოქროს ბაწრამით შემოყოლებულია, ზევით ხუთ ბოლოიანი ვარსკვლავი აქვს კბილებიან ბორბლის ფონზე, რომლის ორივე მხარეზე ქართულად და რუსულად აწერია „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“, ქვემოთ კიდევ წარწერა „სახელოვან ახალგაზრდა კომუნისტთა თბილისის ორგანიზაციას საქართველოს ა. კ. კ. ც. კომიტეტისაგან“.

**მიტინგი.**

ც. კ. სახელით ძნელაძე თბილისის ორგანიზაციის საზეიმო სხდომას გახსნილად აცხადებს, და ეხება რა ა. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის დაარსების ისტორიას, აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც მენშევიკები გადავიდნენ ბურჟუაზიის მხარეზე და დაიწყეს ბრძოლა მუშათა წინააღმდეგ, მათი ახალგაზრდათა ორგანიზაცია „ახალგაზრდა მარქსისტები“ გაჰყვნენ მათ გზას. როდესაც 1917 წ. შესდგა თბილისში ა. კ. კ. პირველი საორგანიზაციო სხდომა დაესწრო 5 კაცი. ეს 5 კაცი დარწმუნებული იყვნენ, რომ ისინი შეძლებდნენ საქართველოს მუშა და გლეხ ახალგაზრდების გაერთიანებას. ამ ორგანიზაციამ მიიღო მაშინ „სპარტაკის ორგანიზაციის“—წოდება ა. კ. კ. თბილისის ორგანიზაცია მიდიოდა იმავე გზით, როგორც საქართველოს კ. პ. რაც შეეხება დამოკიდებულებას რუსეთის ა. კ. კ., მის პირველ რიგებში ყოველთვის იყო თბილისის ორგანიზაციაც. 1919 წ. კონფერენციაზე ერთხმად იყო მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება, რომ ისინი ირიცხებიან რ. ა. კ. კ. ნაწილად. დღეს დამსახურების ნიშნად თბილისის ორგანიზაციას საქართველოს ა. კ. კ. ც. კ. უძღვნის ამ დროშას და დარწმუნებულია, რომ იგი ღირსეულად ატარებს მას უკანასკნელ გამარჯვებამდე. ამხ. ძნელაძის სიტყვა იფარება ტაშით, ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს.

## საქარ. წითელ ლაშქრის პოლიტიკურ განათლების განყოფილებაში

### მოქმედება ოქტომბრის თვეში

**საკლუბო საქმე.**

საკლუბო ქვეგანყოფილება არის ცენტრი მთელი პოლიტიკურ განათლების განყოფილებისა. ყველა მისი სექციები—სამხატვრო, სალიტერატურო, თეატრალური და სხვა თხოულობენ ინსტრუქტორებსა და სპეცებს. მათი ნაკლებობა სამწუხაროა, საგრძნობია და ამიტომაც საკლუბო ქვეგანყოფილების მუშაობა სწარმოებდა აქამდე თბილისის მასშტაბით. ინსტრუქტორების კადრის შევსებისას ეს არანორმალობა უეჭველად აცდენილ იქნება.

მიუხედავად მუშაობის დამაბრკოლებელ მრავალ მიზეზებისა საანგარიშო დროში ქვეგანყოფილებამ შემდეგი გააკეთა:

**თეატრალური სექცია.**

თეატრალურ სექციის მთავარი ფუძე—ეს დრამატიული დასია, რომელზედაც დაკისრებულია სექციის მთელი მუშაობა. დასს აქვს მაჩვენებელი ხასიათი და მან ბევრი რამ გააკეთა სიყვარულის განსავითარებლად თეატრალურ ხელოვნებისადმი წითელ ლაშქრელებში. დამახასიათებელ ფაქტად ჩაითვლება წითელ ლაშქრელთა დასწრების ზრდა ცენტრალურ კლუბში, მაშინ როდესაც ამას წინად ისინი ძალით მოყავდათ. ოქტომბერში დასმა ცენტრალურ კლუბში დადგა 9 წარმოდგენა. სექციამ დრამატიული წრეების რეგისტრაცია მოახდინა ნაწილებში, სადაც თვით წითელ ლაშქრელთა ძალებით იმართება წარმოდგენები, რომლებიც კარგად იდგმება. აზრათ აქვთ მაჩვენებელი დასის მგზავრობა მოაწყონ პროვინციაში და მასთან ერთდროულად კულტურულ ძალთა აღრიცხვა მოაწყონ ლაშქრის ნაწილებში.

**სამხატვრო სექცია.**

რაიონულ ახალ კლუბების გახსნისა და დროშების, პლაკატების და სხვ. დამზადების გამო, სამხატვრო სექცია დატვირთულია მუშაობით. ნაწილებში სამხატვრო წრეების მოწყობა ჩასახვის პროცესში იმყოფება. ნაწილებში მოხდა პირთა რეგისტრაცია, რომელთაც ჰქონდათ გამომსახველ ხელოვნების შესწავლა და უახლოესს დღეებში ზოგიერთ ნაწილებში დაიწყება წრის—სასტუდიო მეცადინეობა.

**ლიტერატურული სექცია.**

ლიტერატურული სექცია მოეწყო ოქტომბრის პირველ რიცხვებში. მან შეიმუშავა და ნაწილებში დაგზავნა საანკეტო ფურცლები წითელ-არმიელთა რაოდენობის გამოსარკვევად, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ლიტერატურულ შრომით. სექციამ ნაწილებში მოაწყო რამოდენიმე საუბარი ლიტერატურის მნიშვნელობის შესახებ, ადგილობრივ წრეების მოწყობის მიზნით, მის მიერ გამომუშავებულია სასტუდიო შრომის პროექტი. პირველი სანიმუშო სტუდია სულ მალე გაიხსნება წითელ ლაშქრელთა ცენტრალურ კლუბში.

**მუსიკალური სექცია.**

მუსიკალურ სექციის მიერ თბილისის გარნიზონის ნაწილებში მოხდა რეგისტრაცია სამხედრო ორკესტრებისა და მუსიკალურ ინსტრუმენტებისა. ლაშქრის ნაწილებში მუსიკალურ წრეებს ესაჭიროებათ საკრავები, ინსტრუქტორები, სანოტო ქაღალდი და სხვა. სექციასთან არსებობს 9 კაცისაგან შემდგარი საკონცერტო დასი. ოქტომბრის თვის განმავლობაში დასმა გამართა 4 კონცერტი.

**წიგნთსაცავის საქმე.**

წიგნთსაცავის ქვეგანყოფილების მოქმედება გამოიხატა 52 საწითელლაშქრო წიგნთსაცავის გახსნაში და მოწყობაში.

მოწყობის დღიდან ქვეგანყოფილებას არ ჰყავდა მომზადებული მუშაკი და განიცდიდა მწვავე გაჭირვებას საწიგნთსაცავო წიგნების უქონლობით. ამ ჟამად გამომუშავებულია დებულების პროექტი შესახებ წიგნთსაცავთა და საწიგნთსაცავო ქსელისა. რიცხვითი საბუთები, ქვეგანყოფილების მუშაობის დამახასიათებელნი, გამოიხატება შემდეგ ნაირათ: წიგნთსაცავთა რაოდენობა თბილისში—28, პროვინციაში 24. მთელი ხნის განმავლობაში გაცემულია: 4317 წიგნი, პლაკატები—200 წ. სურათები—100 ც. წიგნის საწყობი ნოემბრის 1 თვის ითვლიდა 10,356 წიგნს, 653 პლაკატს, 85 სურათს, 100 მოწოდებას და 48 ფურცელს. ყოველ დღე მოდის ადგილობრივი და მოსკოვის გაზეთები, რომლებიც თანასწორად ნაწილდებიან თბილისის—50-სა და პროვინციის—22 დაწესებულებებს შორის.

ამ ჟამად ქვეგანყოფილება გართულია წიგნთსაცავების ტეხნიკურად მოწყობის და საწიგნთსაცავო მუშაკების მომზადების საქმეში. ამ მიზნისათვის კავკასიის ცალკე ლაშქრის წითელ ლაშქრელთა უნივერსიტეტის სკოლის გარეშე ფაკულტეტის საწიგნთსაცავო კურსებზე მოვლინებულია 7 წითელ ლაშქრელი.

**სკოლის საქმე.**

საანგარიშო თვის განმავლობაში სკოლის ქვეგანყოფილების მუშაობა გამოიხატა პირველ საფეხურის სკოლების გახსნაში: ცენტრალურ ჰოსპიტალთან, სარკინიგზო საწყობთან (2), საინჟინერო საწყობთან, ცალკე საყარაულო გუნდთან და ჯავშნიან მატარებლის გუნდთან. მეორე საფეხურის სკოლები გახსნილია ჯავშნ დივიზიონთან, სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატის საკომენდანტო სარდლობის შტაბთან, სამხედრო საინჟინრო ქარვანთან. ამას გარდა ათასეულის კავშირთან არსებულ სკოლას მიემატა წერა-კითხვის უცოდინართა ერთი ჯგუფი, ხოლო სანივთო საწყობში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია იქნა.

ოქტომბრის თვეში ქვეგანყოფილებამ მოაწყო ლაშქრის ნაწილებში 6 ლექცია როგორც პოლიტიკურ, ისე სამეცნიერო თემაზე და მივლინებულ იქმნენ ინსტრუქტორები მეორე საფეხურის სკოლათა რევიზიის მოსახდენად და გასახსნელად პროვინციაში.

**აგიტაცია და პროპაგანდა.**

საგიტაციო—საპროპაგანდო ქვეგანყოფილებამ მოაწყო ოქტომბერში 12 კრება—მიტინგი შემდეგ თემებზე: „წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია“, „მიმდინარე მომენტი“, „საბჭოთა ხელისუფლება“, მომავალი მსოფლიო რევოლიუცია და „ახალი ეკონომიური პოლიტიკა“. ამას გარდა საქართველოს წითელ ლაშქრის ყველა ნაწილებში გატარებული იქმნა კამპანია „ბავშვის დამხმარე კვირის“ თემაზე.

**ფოტო—კინო.**

გასულ თვეში ფოტო-კინოს განყოფილებამ წითელ ლაშქრელთა ცენტრალურ კლუბში გამართა 18 კინოსეანსი წითელ ლაშქრელებისათვის. მზადდება მეორე კინო კომპლექტი, რომელიც სამსახურს გაუწევს ნაწილებს ადგილებზე. ფოტოგრაფი ასრულებდა პოლიტიკურ განათლების დავალებებს ზედმეტად სურათების დამზადებაში. სულ ჯარის ნაწილებს გადაეცა 52 სურათი. საგრძნობია ნაკლებობა ფირფიტების, (პლასტინკა), სურათის ქაღალდის და კარდონისა, რომელთა შეძენასაც დიდი ფული სჭირდება.

## პარტიული ცხოვრება

**გურია.**

1921 წ. 15 ნოემბერს შესდგა ქ. ოზურგეთის მესამე იაჩეიკის კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. გ. მენაბდე, მდივნათ ელ კალანდაძე.

დღის წესრიგში შედიოდა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება იაჩეიკის პასუხის მგებელ მდივნის;

2. ორგანიზაციული მუშაობა;
3. პარტიული დისციპლინა;
4. ბიუროს არჩევა.

პასუხის მგებელ მდივნის მოხსენებიდან ირკვევა, რომ იაჩეიკის კრება ვერ იმართება სისტემატიურათ, რაც გამოწვეულია ზოგიერთი ამხანაგების გულგრილობით, ამხანაგი აცხადებს, რომ აუცილებლათ საჭიროა მაგარი დისციპლინა, წინააღმდეგ შემთხვევაში იაჩეიკას არსებობა ყოვლად შეუძლებელია.

ორგანიზაციული მუშაობის შესახებ კრება ადგენს: იაჩეიკა უნდა იკრიბებოდეს კვირაში ერთხელ მაინც, სადაც უნდა იყოს მეცადინეობა „კომუნიზმის ანბანით“, უნდა მოეწყოს ლექციები და მიტინგები ხშირათ და ვეცადოთ ლიტერატურის გავრცელებას რაც შეიძლება ფართოდ.

პარტიული დისციპლინის შესახებ კრება ადგენს შემდეგს: 1. პარტიის წევრი, რომელიც სამ ჯერ კრებას უმიზეზოთ არ დაესწრება,—მიზეზად კი უმთავრესად უნდა ჩაითვალოს ავადმყოფობა და უბედური შემთხვევა—აუცილებლად პარტიიდან უნდა იქნას გარიცხული;

2. პარტიის წევრი ვალდებულია პარტიული ორგანოს დადგენილება და დავალება მოიყვანოს სისრულეში მაქსიმალური სისწრაფით უსიტყვოთ, და თუ უკანონო იქნება ის, მას უფლება ეძლევა გაასაჩივროს მაზედ უმაღლეს ორგანოში;

3 პარტიის წევრი უნდა იქცეოდეს ღირსეულად, არ უნდა თვრებოდეს და არც იარაღს სროლობდეს.

4. არც ერთ შემთხვევაში, როგორც პარტიის წევრს, ისე კანდიდატებს არ შეუძლია დაიწეროს ჯვარი, ან ბავშვი მონათლოს ან სხვას მოუნათლოს.

5. კომუნისტს თავის რაიონიდან არ შეუძლია გავიდეს მეორე რაიონში, თუ ეს არ იცის რაიკომმა. ვინც ზემო დასახელებულ მუხლებს დაარღვევს იაჩეიკა ერთხმად ადგენს გარიცხულ იქნას პარტიიდან.

ბიუროში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: 1. გიორგი მენაბდე, 2 გიორგი კალანდაძე, 3. შერ. დობორჯგინიძე.

ყარაჩოღლი.

## წარმოებიდან პროფკავშირებში

**აღმშენებელთა პროფკავშირში.**

**შეშის დამზადება.** აღმშენებელ და დამმუშავებელთა წარმოებითი პროფკავშირის მიერ შეშის დამზადება წარმატებით ტარდება. ორი კვირის მუშაობის განმავლობაში დამზადებულია 80 კუბ. საჟენი. მუშაობს კავშირის წევრთა არტელი 53 კაცის შემადგენლობით.

**მრეწველობის გამოკვლევა.** ნოემბრის 10-დან საგანგებო კომისიის მიერ საერთო რესპუბლიკანურ მასშტაბით დაწყებულია მრეწველობის გამოკვლევა. კომისიას მიზნადა აქვს მრეწველობის ყოველმხრივი შესწავლა, ამა თუ ის წარმოების მოგებისა ან ზარალის ხარისხის გამორკვევა, წარმოების ნაყოფიერების აწევისათვის ზომების გამომუშავება და სხვ.

**კოლექტიური მომარაგება.** აღმშენებელთა ხის დამმუშავებელთა კავშირის სატარიფო სანორმო განყოფილება ამზადებს კავშირის წარმოებათა მუშათა მომარაგების არსებულ სისტემიდან კოლლექტიურ მომარაგებაზე გადასვლის პროექტს; ამ მიზნით განყოფილებამ რაიონებსა და წარმოებებში ახალ სატარიფო პოლიტიკის საკითხზე მოაწყო მთელი რიგი საზოგადო კრებებისა. იმავე განყოფილების მიერ განზრახულია თბილისში საერთო საქალაქო სატარიფო კონფერენციის მოწვევა რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს წარმომადგენელთა მონაწილეობით.

**პრემიალური სისტემა.** აღმშენებელთა ხის დამმუშავებელთა პროფკავშირთა სატარიფო-სანორმო განყოფილებამ თბილისში სამხედრო ხეტყის ქარხანაში გაატარა მუშათა დაჯილდოვების პრემიალური სისტემა, რომელმაც ერთბაშად ასწია ქარხნის ნაყოფიერება 50 პროცენტით.

**პროფესიონალური მუშაობა.** იმავე პროფკავშირის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება აფართოვებს თავის მოქმედებას საერთო—რესპუბლიკანურ მასშტაბით, და პროვინციებში ცხოვრებაში ატარებს ერთ კავშირში აღმშენებელთა და ხის დამმუშავებელთა კავშირების შეერთებას. ამავე განყოფილებისავე მიერ სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა თბილისში კავშირის იაჩეიკების გამოსაჯანსაღებლათ პროფესიონალურ მუშაობის ამაღლების მოსაზრებით.

**სამეურნეო კანტორები.** იმავე პროფკავშირის ეკონომიური განყოფილება ამ დღეებში ავლაბარში, ჩუღურეთსა და ვერაზე ხსნის სამეურნეო კანტორებს, რომელთა მოქმედების განვითარებისაგან მოსალოდნელია დიდი შედეგები უნიფიკაციისა, ნაყოფიერებისა, შრომის მოწესრიგებისა და სხვა.

**ქსნის ქარხანა.** ქსნის აგურ კრამიტის სახელმწიფო ქარხანაში პროფკავშირის მიერ შემოღებულია ერთპიროვნული მმართველობა ამხ. სმაკის სახით. უკანასკნელ დროის განმავლობაში ქარხნის ნაყოფიერებამ შესამჩნევად აიწია, ომის წინანდელ დროსთან შედარებითაც კი, საშუალოდ ყოველდღიურათ დღეში კეთდება 4,600 ცალი კრამიტი და სხვა ნაწარმოები, წინააღმდეგ ომამდე არსებულ ნორმისა 3,500 ცალი.

ქარხნის სახელმწიფოს საკუთრებად გადასვლასთან დაკავშირებით განზრახულია მეჭურჭლეობის წარმოების ფართოთ განვითარება, როგორც ხელმძღვანელი მოწვეულია სპეციალისტი შახმაზიანცი, რომლის მიერ წარმოებულ იქნება ცდები ფაიანსისა, ფარფორისა, ტერრაკოტისა და სხვ. შესამუშავებლად.

**„ფაიანსის“ ქარხანა.** ქარხანა „ფაიანსში“ პროფკავშირის მიერ ამუშავებულია მეორე ღუმელი, რის წყალობით ქარხნის ნაყოფიერებამ აიწია ორჯერ მეტად უკანასკნელ დროსთან შედარებით.

**პროფტეხნიკური კურსები.** კავშირის პროფტეხნიკური კურსები ჰიდროტეხნიკურ, გზათა აღმშენებლობისა და კერამიკული განყოფილებებით სრულ ნორმალურად ჰქმედობს. კურსანტების მხრივ მოსჩანს საქმით დაინტერესება. სულ კურსანტები ამ ჟამად 70 კაცია. კურსების გამთავრებულნი გამოდიან ტეხნიკებით და ათის თავებით.

**მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება.** პროფკავშირის შრომის დაცვის განყოფილებამ დაათვალიერა თბილისის ყველა ქარხნები და დაისახა რიგი ზომებისა მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებლათ.

**ხელ ახალი რეგისტრაცია.** პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობის სამდივნოს მიერ განზრახულია თბილისში კავშირის წევრების ხელახალი რეგისტრაცია. ხელახალი რეგისტრაცია სწარმოებს აღმშენებელთა ხის დამმუშავებელთა წარმოებითი პროფკავშირების შეერთებასთან დაკავშირებით.

**პროფესიონალური მოძრაობა.** პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის სტატისტიკური ქვეგანყოფილება ათავებს სტატისტიკურ ცნობების დამუშავებას, თავის კავშირის პროფესიონალური მოძრაობის შესახებ.

## პროვინციაში

**სოფელი ხეთა.**

(ზუგდიდის მაზრა)

30 ოქტომბერს 1921 წ. იყო მოწვეული ხეთის თემის საერთო კრება, რომელსაც დაესწრო თრასზე მეტი კაცი. კრებას დაესწრნენ აგრეთვე ზუგდიდის სამსასურკომის კოლლეგიის წევრი ვ. ნიკოლეიშვილი, სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებული ზუგდიდის მაზრაში ლ. ქებურია და სამსასურკომის რწმუნებული გ. ჯაკონია. კრების თავმჯდომარეთ ერთხმათ იქნა არჩეული ამხ. ვასილ ბუკია და მდივნათ არსენა გაბრავა.

დღიური წესრიგი: 1) მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, 2) მნიშვნელობა და მიზანი სასურსათო გადასახადისა და 3) მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა სამსასურკომის კოლლეგიის წევრმა ამხ. ვ. ნიკოლეიშვილმა, იგი შეეხო საბჭოთა რესპუბლიკების და კერძოდ რუსეთის მდგომარეობას. მომხსენებელმა განსაკუთრებით აუხსნა კრებას ის მდგომარეობა, რომელსაც განიცდიან ვოლგის მხარის დამშეულები. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ვოლგის დამშეულებს ძმური ხელი გაუწოდეს, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების ისე გარეშე იმპერიალისტური სახელმწიფოების მშრომელმა მასსებმა. შემდეგ ამხ. ნიკოლეიშვილმა ახსნა რუსეთისა და პოლონეთის ურთიერთობა და დამოკიდებულება, აგრეთვე რითი იყო გამოწვეული ომი ამ რესპუბლიკებთა შორის და მასთან განმარტა ის ულტიმატუმი, რომელიც ამ მოკლე წარსულში პოლონეთმა წარუდგინა რუსეთს და რომელ ულტიმატუმზე სათანადო პასუხი გასცა საბჭოთა რუსეთმა, რის შემდეგ პოლონეთი იძულებული შეიქნა უკან წაეღო თავისი ულტიმატუმი და შემდეგ მომხსენებელი შეეხო ქემალის ჯარის გამარჯვებას ბრძოლის ასპარეზზე და აგრეთვე იმ იმპერიალისტური სახელმწიფოების საერთაშორისო მდგომარეობას და მათ კრიზისს.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ისევ ამხ. ნიკოლეიშვილმა, რომელმაც გააცნო კრებას მნიშვნელობა, მიზანი და აუცილებლობა სასურსათო გადასახადის შემოღებისა და აგრეთვე ისიც თუ როგორ უნდა მოეწყოს ტეხნიკურად სასურსათო გადასახადის გადახდა და გადაცემა საბჭოთა მთავრობისათვის. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ არის შემთხვევები, როდესაც ოჯახის კაცს აქვს დათესილი მეტი მიწა, ყავს მეტი პირუტყვი და სხვა, მაგრამ კომისიას აწერინებენ ნაკლებს, რითაც ისინი ბოროტ მოქმედებას სჩადიან, რომლის ასაცილებლად ნიკოლეიშვილმა განმარტა მთავრობის დადგენილება, რომლის ძალით ასეთი პირები პასუხს აგებენ მუშურ-გლეხურ მთავრობის წინაშე. მომხსენებელი აბათილებს და ფანტავს საბჭოთა ხელისუფლების მტრების მიერ გავრცელებულ პროვოკაციას ნატურგადასახადის გარშემო.

ამხანაგი მოუწოდებს კრებას არ აჰყვენ ასეთ პროვოკატორებს, სათანადო პასუხი გასცენ მათ და არ წამოეგონ მათ ანკესზე. მოხსენების შემდეგ ადგილებიდან იყო შეკითხვები, მომხსენებელმა ყველა შეკითხვებს დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა, რის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ნიკოლეიშვილისა ნატურგადასახადის შესახებ, აღფრთოვანებით ვეგებებით მთავრობის მიერ მიზან შეწონილი და გარკვეული ნაბიჯის გადადგმას; ერთად ერთი სწორი და უტყუარი საშუალებას თავიანთი ნაშრომი არ ჩაუვარდეთ ხელში სპეკულიანტებს ნახევარ ღირებულ ფასებში და ამითი თვითონაც გამოვლენ და მუშურ გლეხურ სამშობლოსაც გამოიყვანენ ეკონომიური კრიზისიდან. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის ბელადებს“.

შემდეგ მოხსენება გააკეთა სახალხო სასურსათო კომისარიატის რწმუნ. ლ. ქებურიამ. ის ამბობს, რომ თუმცა საბჭოთა რუსეთს დაფნა სჭირია, მაგრამ ტეხნიკურად ვერ მოხერხდა ჯერ-ჯერობით ასეთის შეძენა. მომხსენებელს მოყავს მაგალითები, რომ მცხოვრებნი დაფნას სწვავენ ცეცხლში, ყრიან გარეთ და აფუჭებენ ამ სიმდიდრეს, იმიტომ რომ 1917 წლიდან ამის მყიდველი არავინ სჩანს და ხალხს მოსწყინდა მისი მოვლა შენახვა. ამხ. ქებურია მოუწოდებს კრებას, რომ დაფნა მისცენ სახალხო სასურსათო კომისარიატს, რომელიც გამონახავს ბაზარს ასეთის გასასაღებლად, ხოლო გასაღების შემდეგ დააკმაყოფილებს პატრონებს ან ფულით ან საქონლით, მხოლოდ და მხოლოდ ორგანიზაციული ხარჯების გამოკლებით. კრებამ დაადგინა: ამის შესახებ მოწვეულ იქნას ახლო მომავალში ფართო საზოგადო კრება და იქნეს გარჩეული ეს საკითხი.

კრების თავმჯდომარე **ვ. ბუკია.**

მდივანი **ა. გაბრავა.**

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მახვილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-ე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—53.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე-5-ე რაიონის ბიურო—ბაზრის ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

## განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

ს. ს. ს. რ. ჯარების პოლიტ. განათლების სალიტერატურო სექცია წითელ-არმიელთა კლუბში ხსნის დეკემბრის პირველ რიცხვებში

### მხატვრულ ლიტერატურის

### სტუდიას

ჯარების ნაწილებში არსებულ ლიტერატურულ წრეების ხელმძღვანელებით ევალებათ დაჩქარებით წარმოადგინონ სიები შევსებულ საანკეტო ბარათებით.

მსურველთა ჩაწერა სწარმოებს ცენტრალურ კლუბში.

სექციის გამგე.

## ჟურნალი „ქურა“

ამ მოკლე ხანში გამოვა სალიტერატურო პროლეტარული ჟურნალი „ქურა“ იუმორისტული განყოფილებით.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების მთავარ გმართველობაში (ლორის მელიქოვის ქ. № 5.) სანდრო ეულის სახელზე.

## საბჭოთა

**სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან.** სახალხო სასურსათო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ არავითარი განთავისუფლების საფუძველი გადასახადისაგან არ აქვს ადგილი (დადგენილება საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის № 53), შუამდგომლობები გადასახად ბეგარიდან განთავისუფლებისა მიღებული არ იქნება, გადმოგზავნილი ფოსტით ან და შემთხვევით მიღებული, დარჩება უშედეგოთ.

სახალხო სასურსათო კომისრის მოადგილე **ერქომაიშვილი.**

— თბილისის № 1 გამასწორებელ სახლთან მოეწყო სახელოსნოები: სადურგლო, საზეინკლო, სარკინის, საკოდო, საჩექმო და სატანსაცმლო. ყველა ზემოაღნიშნულ სახელოსნოებში უკვე მიიღება შეკვეთა, როგორც საბჭოთა დაწესებულებებიდან, ისე კერძო პირთაგან ფრიად შეღავათიან და ხელსაყრელ ფასებში. შეკვეთა სწარმოებს იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასჯა-გასწორების განყოფილებაში.